**2018 - 2019 სასწავლო წლის მე-2 სემესტრში ფაკულტეტზე განხორციელებული ღონისძიებები.**

***საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბ ლაბისა და ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკალსი არქიტექტორების და დიზაინერებისთვის***

2019 წლის 3 იანვარს სტუ-ს ფაბ ლაბში შედგა სამუშაო შეხვედრა ფაბ ლაბის ხელმძღვანელს გიორგი ფრანგიშვილს, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის მაგისტრს არქიტექტორ კონნორ ბორჰარტს, არქიტეტურის, ურბანისტიკის და დიზაინის აკულტეტის დეკანს ნინო იმნაძესა და ასოცირებულ პროფესორ დავით ბოსტანაშვილს შორის.

შეხვედრის მიზანი იყო ლექციის და მასტერკლასის დაგეგმვა, რომელსაც უხელმძღვანელებს ამერიკელი არქიტექტორი კონნორ ბორჰარტი.

კონნორმა დაათვალიერა არქიტექტურის, ურბანსტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და „არქიტექტურული პოეტიკის“ სტუდია, სადაც გაიმართება ვორქშოფი.




**FROM POETICS TO METAPOETICS: ARCHITECTURE TOWARDS ARCHITECTURE**

23.01.2019. ბალკანეთის ფილოსოფიურ ჟურნალში (BALKAN JOURNAL OF PHILOSOPHY. Vol. 10, Issue 2, 2018) დაიბეჭდა სტატია „FROM POETICS TO METAPOETICS: ARCHITECTURE TOWARDS ARCHITECTURE“, რომელიც მიეძღვნა სტუდია "არქიტექტურის პოეტიკას". სტატიის ავტორია მალტის არქიტექტურის და სამოქალაქო ინჟინერიის უნივერისტეტის არქიტექტურის, ფაკულტეტის პროფესორი ლინო ბიანკო.

**სტატიის სრული ტექსტი იხილეთ**
**http://gtu.ge/Arch/Pdf/publications/From_Poetics_to_Metapoetics_Architecture.pdf**

ლინო ბიანკომ 2017 წელს ასევე გამოუშვა სტატია „SHOTA BOSTANASHVILI, ARCHITECTURAL DISCOURSE AND THE FOUNDATION OF POETICSOF ARCHITECTURE IN GEORGIA“ ჟურნალ „ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები“ (Papers of BAS Humanities and Social Sciences Vol. 4, No 1, 2017. სტატია მიეზღვნა არქიტექტორ შოთა ბოსტანაშვილს, არქიტექტურულ დისკურსი და არქიტექტურული პოეტიკას საქართველოში.

**სტატიის სრული ტექსტი იხილეთ**
**http://gtu.ge/Arch/Pdf/publications/Shota_Bostanashvili_architectural_discou.pdf**

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფაბ ლაბისა და ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკლასი არქიტექტორებისთვის და დიზაინერებისთვის**

2019 წლის 25 სტუ-ს ფაბ ლაბ –ის ორგანიზებით გაიმართება მასტერკლასი და ვორქშოპი:

**„ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“.**

**კურსი შეისწავლის ედმუნდ ჰუსერლის და მარტინ ჰაიდეგერის ფილოსოფიას და მათ პოტენციურ გავლენას არქიტექტურაზე როგორც ადგილის შემქმნელ ფენომენზე. მიმდინარე ტენდენციები, როგორებიცაა პარამეტრიზმი, მდგრადობა, ობიექტურობა და პოსტმოდერნიზმი ასევე პროეცირდება ვორკშოპის თემაზე.**

**კურსის მიზანია: სტუდენტებმა შეისწავლონ ის ინსტრუმენტები, რომლებიც მისცემს მათ საშუალებას შექმნან დიზაინი და სივრცე პოეტურად; ამასთან დაეხმარება მათ გააცნობიერონ საგნის (ნივთის) არსი მისი განცდის თვალთახედვიდან.**

ვორქშოფში მონწილეობას მიიღებენ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები.

**ვორქშოფს გაუძღვება ამერიკელი არქიტექტორი, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის არქიტექტურის მაგისტრი კონნორ ბორჰარტი**

ვორქშოის ხანგრძლივობა ორი დღე.

პირველ დღეს 25 იანვარს ჩატარდება ლექცია სტუ-ს ფაბ ლაბ-ში.

დაწყების დრო: 10.00 სთ. ხანგრძლივობა 1 საათი

ლექციის დამთავრების შემდეგ სტუ-ს არქიტექტური, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის „არქიტექტურული პოეტიკის სტუდიაში“ (1 კორპუსი 505 ც აუდიტორია) გაიმართება სტუდიური მუშაობა. ხანგრძლივობა სამი საათი.

მეორე დღე 26 იანვარ: პრეზენტაცია და კრიტიკა (დასაწყისი 12 სთ. ხანგრძლივობა 1.30 სთ.)

ვორქშოფში მონაწილეთა რაოდენობა შეზღუდულია. აუცილებელია ინგლისური ენის ცოდნა, სასურველია იქონიოთ ლეპტოპები და ჩანახატებისთვის საჭირო ინსტრუმრნტები.

დეტალებისთვის დაგვიკავშირდით Fablab GTU. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისფაბლაბის ფაისფუქ გვერძე ან დარეკეთ 599383332

**ლექცია და ვორქშოფი: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“.**

2019 წლის 25 იანვარს სტუ-ს ფაბ ლაბში ჩატარდა **ამერიკელი არქიტექტორის, ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის არქიტექტურის მაგისტრის კონნორ ბორჰარტის ლექცია თემაზე: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“** . ლექციის შემდეგ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, არქიტექტურული პოეტიკის სტუდიაში ჩატარდა ვორქშოფი.

ლექციაზე განხილული იყო ფენომონოლოგია არქიტექტურაში და დიზაინში, ფილოსოფიის მნიშვნელობა და გავლენა არქიტექტურაზე, როგორც ადგილის შემქმნელი ფენომენი. განხილული იყო ის მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელიც არქიტექტორებს აძლევენ საშუალებას შექმნან დიზაინი და სივრცე პოეტურად. ნაჩვენები იყო თუ როგორ ვლინდება ფენომენოლოგია გამოჩენილი არქიტექტორების სტივენ ჰოლის, პიტერ ცუმტორის, ვანგ შუ და ლუ ვანიუ–ს შემოქმედებაში. ასევე კონორმა სტუდენტებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება.

ლექციაზე განხილული მეთოდით სტუდენტებმა ვორქშოფზე შეექმნეს საკუთარი პროექტი. ვორქშოფის მსვლელობაზე კონორი თვითოეული სტუდენტის ნამუსევარს განიხილავდა ინდივიდუალურად. ვორქშოფი გაგრძელდა ხუთი საათი. მუშაობის დასრულების შემდგმო მოეწყო სტუდენტური ნამუშევრების საჯარო განხილვა და კრიტიკული ანალიზი. კრიტიკას წარმართავდნენ ერთობლივად კონორი და არქიტექტურული პოეტიკის სტუდიის ხელმძღვანელი, ასოცირებული

პროფესორი დავით ბოსტანაშვილი.

ვორქშოფში მონწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორის სკოლის ბაკალავრიატის მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტებმა.

ვორქშოფის ორგანიზატორი: სტუ–ს ფაბ ლაბი. ხელმძღვანელის გიორგი ფრანგიშვილი.

**მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის სტუდენტები სტუმრად არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე.**

2019 წლის 25 იანვარს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს ესტუმრნენ მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის (МАРХИ) სტუდენტები. ვიზიტის მიზანი იყო გაცნობა ფაკულტეტზე არსებული სასწავლო პროგრამების, სწავლის მეთოდების და რესურსების. studsovetmarhi@gmail.com

***საჯარო ლექცია: „ჰანს ვან დერ ლაან და მის ვან დერ როეს არქიტექტურა“***

2019 წლის 7 თებერვალს 405 ც აუდიტორიაში 12 საათზე გაიმართება პოლონელი არქიტექტორის, პოლონეთის იგნასი ლუკასეივიჩ რზესზოვის ტექნოლოგიური უნივერსიტის პროფესორის რაფაელ მაზურას ლექცია თემაზე: „ჰანს ვან დერ ლაან და მის ვან დერ როეს არქიტექტურა“. პროფესორი რაფაელ მაზურა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს ესტუმრა Erasmus+ Academic Staff Mobility –ის ფარგლებში.

Dr. Rafal Mazur from the Ignacy Lukasiewicz Rzeszów University of Technology – RUT (Rzeszów, Polan)

Erasmus+ Academic Staff Mobility period at GTU - 04 -08February, 2019.

Lecture topic: Architecture of Hans van der Laan and Mies van der Rohe—

***საჯარო ლექცია: „ჰანს ვან დერ ლაან და მის ვან დერ როეს არქიტექტურა“***

2019 წლის 7 თებერვალს 405 ც აუდიტორიაში 12 საათზე გაიმართა პოლონელი არქიტექტორის, ვარშავის იგნასი ლუკასეივიჩ რზესზოვის ტექნოლოგიური უნივერსიტის პროფესორის რაფაელ მაზურას ლექცია თემაზე: „ჰანს ვან დერ ლაან და მის ვან დერ როეს არქიტექტურა“. ლექციის პირველ ნაწილში პოლონელმა პროფესორმა ისაუბრა ვარშავის ტექნოლოგიური უნივერსიტეტზე, მის სტრუქტურაზე და არქიტექტურის ფაკულტეტზე. ფაკულტეტზე არსებულ სწავლის მეთოდებზე და ჩატარებულ ღონისძიებებზე, ასევე სტუდენტებს გააცნო მის მიერ დაპროექტებული ობიექტები და ისაუბრა პოლონეთის თანამედროვე არქიტექტურაში მიმდინარე პროცესებზე, მხატვრულ–ესტეტიურ მიმდინარეობებზე. ვრცლად ისუბრა კონტექსტზე, და მისი გამოვლენის თავისებურებებზე პოლონელი არქიტექტორების შემოქმედებაში.

პროფესორი რაფაელ მაზურა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტს ესტუმრა Erasmus+ Academic Staff Mobility –ის ფარგლებში.



*მონოგრაფია: ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპები სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე*

*2018 წლის დეკემბერში გამოვიდა მონოგრაფია: „ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპები სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე“ ავტორები: სტუ–ს ასოცირებული პროფესორი ნინო ჩაჩავა და არქიტექტორის დოქტორი თამარ ხოშტარია*



მონოგრაფიაში, სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული რეგიონის, სამცხე-ჯავახეთის მაგალითზე, წარმოდგენილია საკურორტო და ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პრინციპები. გამოყენებულია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის თანამედროვე ინსტრუმენტები. ნაშრომში თავმოყრილია ინფორმაცია 2018 წლის მდგომარეობით სამცხე-ჯავახეთში განხორციელებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შესახებ; განხილულია სამცხე-ჯავახეთის ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის ელემენტები, განვითარების მიმართულებები; ხაზგასმულია სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ტურიზმის რევიტალიზაციის სტრატეგიული მნიშვნელობა; შესწავლილია რეგიონის საგზაო-სატრანსპორტო სისტემა; კურორტების კულტურული მემკვიდრეობა; კურორტების ბრენდინგი/რებრენდინგი; ასევე, ეკოლოგიური პრობლემები და ბუნებრივი საფრთხეები, როგორც ტურიზმის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორები. დანართებში მოყვანილია სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის საკანონმდებლო-მეთოდოლოგიური საკითხები და რუკები: რეგიონის რესურს-პოტენციალის ამსახველი საგზაო ხელმისაწვდომობა, კურორტები და საკურორტო ადგილები, სამკურნალო მინერალური წყლები, კულტურული მემკვიდრეობის ნუსხა  და მათი ტურისტულ პოტენციალზე ზემოქმედების ანალიტიკური შედეგები, მიღებული ახალი გის ტექნოლოგიების გამოყენებით.

მონოგრაფიაში გაანალიზებული საკითხები საინტერესო და სასარგებლო იქნება სამხრეთ საქართველოს სპეციფიკითა და, ზოგადად, ტურიზმისა და კურორტების სივრცით-ტერიტორიული განვითარების პრობლემატიკით დაინტერესებული მკითხველისთვის.

**Spatial-Territorial Planning Principles of Tourism and Recreation Cluster (Samtskhe-Javakheti Example)**

This monograph presents, on the example of Samtskhe-Javakheti, one of the distinguished regions of Southern Georgia, the principles of spatial-territorial planning of spa, tourism and recreation cluster. Contemporary tools of spatial-territorial planning are used. The information about spatial-territorial documentation implemented until 2018 for Samtskhe-javakheti is collected; elementsand development directions of tourism and recreation clusterare discussed; in particular, strategic importance of the revitalization of spa and health-care tourism is highlighted. Between presented issues road and transportation network of the region, cultural heritage and branding/rebranding of the resort settlements has been studied; in addition, ecological problems and natural hazards, as negative factors for tourism development are considered. Annexes contain legislative-methodological issues and maps explaining the resource potential of the region: transportation availability, lists of the resorts, resort places, healing mineral water springs, cultural heritage monuments; comparative analyze results in GIS.
Issues, presented in the monograph, will be informative and useful for readers, interested in the specifics of South Georgian regions and in general, in tourism and spatial-territorial planning of the resort settlements.

## *Monograph: Tourism and Recreation on Cluster Planning*



2018 წელს ინგლისურ ენაზე გამოცა მონოგრაფია: Monograph: Tourism and Recreation on Cluster Planning
ავტორები: სტუ–ს ასოცირებული პროფესორი ნინო ჩაჩავა, აკადემიური დოქტორი თამარ ხოშტარია, ალექსანდრა კზიევსკა (პოლონეთი)

მონოგრაფიაში წარმოდგენილია ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის განვითარებისა და დაგეგმვის საკითხები ეკოლოგიური თვალსაზრისით.

ნამუშევრის ძირითადი მიზანია იმგვარი ურბანული/სივრცითიდაგეგმვის ინსტრუმენტებისა და გადაწყვეტილებების განსაზღვრა, რომლებიც მოემსახურება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერის მდგრად განვითარებას. სამხრეთ საქართველოს ეს სასაზღვრო რეგიონი გამოირჩევა საკურორტო დასახლებების, დაცული ტერიტორიების, მინერალური წყლების და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლით. სამი მთავარი საკურორტო დასახლება - ბორჯომი, ახალციხე და აბასთუმანი მიჩნეულია გეგმარებით სამკუთხედად და განსაკუთრებით მნიშვნელოვან კურორტებად ტურისტულ-სარეკრეაციო კლასტერში. ნაშრომში ნაჩვენებია ამ კურორტების თავისებურებანი, მწვანე სივრცეებისა და, საგზაო-სატრანსპორტო ქსელის როლი, ასევე აუთვისებელი პოტენციალის მქონე ტერიტორიების განვითარების პერსპექტივები გუჯარეთის ხეობის მაგალითზე. გამოკვეთილია გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მნიშვნელობა არსებული და პერსპექტიული კურორტებისთვის. ერთ-ერთი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის სახით მოყვანილია ურბანული დაგეგმვის - ეკოლოგიური ღონისძიებების მაგალითი საკურორტო ქალაქი სოპოტისთვის (პოლონეთი).

Monograph presents Tourism and Recreation Cluster development and planning issues for the case of South Georgian region, Samtskhe-Javakheti, from ecological point of view. The main objective of the work is to define urban and spatial planning tools and solutions which will contribute to the sustainable development of tourism and recreation cluster of Samtskhe-javakheti region. This southern border region of Georgia is distinguished with a numerous resort settlements, protected areas, mineral water sources and famous cultural heritage monuments. Three main resort settlements – Borjomi, Akhaltsikhe and Abastumani are defined as planning triangle and most important resorts of the tourism and recreation cluster. In the work are indicated peculiar features of these resorts, the role of the green areas, road and transportation network and development prospects for underused territories for case of Gujareti valley. Importance of environmental protection and ecological balance for existing and prospective resorts is highlighted. As one of the best international practices is considered example of urban planning – pro-ecological activities for the resort city of Sopot (Poland).

***სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი მაგისტრანტებისთვის***

2019 წლის 29 იანვარს და 4 თებერვალს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 405 ც აუდიტორიაში 15 საათზე გაიმართა XI სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი: „თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის პირველი კურსის მაგისტრანტებმა.

**სემინარე განხილული იყო შემდეგი თემები:**

***28 იანვარი***

1.თამარ კახიძე თემა: „რევიტალიზაცია“;(ხელმძღვანელი ნინო იმნაძე);

2.ანი შტააძე თემა: „დეტალები არქიტექტურაში“ ;(ხელმძღვანელი ნინო იმნაძე);

***4 თებერვალი***

1.კრისტინა ბაგდაციანი თემა: „თანამედროვე ქართული არქიტექტურა მსოფლიო არქიტექტურის კონტექსტში“; (ხელმძღვანელი დავით ბოსტანაშვილი)

2.სოფო თოდუა თემა: „განწყობის თეორია და არქიტექტურა“ ხელმძრვანელი მედეა მელქაძე;

3.ზურაბ ფანცულაია თემა: „იდეალი და რეალობა“ (ხელმძღვანელი დავით ბოსტანაშვილი)

*სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარი მაგისტრანტებისთვის*

2019 წლის 11 თებერვალს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 405 ც აუდიტორიაში 16 საათზე გაიმართა XI სამეცნიერო–პრაქტიკული სემინარის მე–3 შეხვედრა: „თანამედროვე არქიტექტურა–პრობლემები და გამოწვევები“. სემინარში მონაწილეობა მიიღეს სამაგისტრო პროგრამა „არქიტექტურა“–ის პირველი კურსის მაგისტრანტებმა.

სემინარზე განხილული იყო შემდეგი თემები:

1.ალექსანდრე ჩუტკერაშვილი თემა: „თბილისი ღამის განათება“; ხელმძღ: ბელა თინიკაშვილი

2.ნინო ბუჭუხიშვილი თემა: „ღვინის არქიტექტურა მსოფლიოში“ ხელმძღ. მედეა მელქაძე

3.შალვა ნეფარიძე თემა: „ცეთამბრჯენის გენეზისი“; ხელმძღ. მედეა მელქაძე

CERTIFICATE OF APPRECIATION

2019 წლის 15 თებერვალს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტმა მადლობის სიგელი გადასცა ამერიკელ არქიტექტორს კონორ ბორჰარტს. ახალგაზრდა არქიტექტორმა 2019 წლის 25 იანვარს ჩაატარა ლექცია და ვორქშოფი **თემაზე: „ფენომენოლოგია არქიტექტურაში; ფილოსოფია და დიზაინი“.** სეთიფიკატის დიზაინი შექმნა არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტმა ვახტანგ გლუნჩიძემ და დამზადდა სტუ–ს ფაბ ლაბში მისი დირექტორის გიორგი ფრანგიშვილის ხელშეწყობით.

**პროექტი „ახალი ვარჯაანი“**

2019 წლის 15 თებერვალს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში 16 საათზე შედგა შეხვედრა ექიმ ლევან ჩოლოყაშვილთან, რომელმაც სტუდენტებს და პედაგოგ–მასწავლებლებს წარუდგინა პროექტი–კონცეფცია „ახალი ვარჯაანი“. ნაჩვენები იყო ასევე პატარა სიუჟეტი სოფლის ისტორიის შესახებ: ერთ დღე ღამეში დაცლილი სოფელი და დაბრუნება 60 წლის შემდეგ. პროექტის წარდგენის მიზანია სტუდენტების ჩართავა სოფლის კონცეფციის შემუშავებაში. პრეზენტაციაა შემდეგ გაიმართა ცხარე დისკუსია სტუდენტებსა და პროექტის ავტორს შორის. სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები ჩაერთვებიან ამ საინტერესო იდეის სოფელი „ახალი ვარჯაანი“ კონცეფციის შემუშავებაში.

**ვორქშოფი სტუ–ს დიზაინის  საერთაშორისო სკოლაში თემაზე: „ფენომონოლოგია არქიტექტურაში“**

2019 წლის 15 თებერვალს სტუ–ს დიზაინის საერთაშორისო სკოლაში გაიმართა ამერიკელი არქიტექტორის კონორ ბორჰატის ლექცია და ვორქშოფის: „ფენომონოლოგია არქიტექტურაში“ მეორე ეტაპი. ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა და კრიტიკაში ასოც. პროფესორმა დავით ბოსტანაშვილმა.

***სოსო იოსელიანის ნახატების პერსონალური გამოფენა***

2019 წლის 17 თებერვალს ეროვნული სასახლის „მარმარილოს დარბაზში“ გაიხსნა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტის სოსო იოსელიანის ნახატების პერსონალური გამოფენა.




საერთაშორისო პროექტი: „**ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავისთვის.**

2019 წლის 25 თებერვალს რუსთავის მერიაში, პროექტის „**ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავისთვის**“ კონკურსი გაიმართა.

საკონკურსო პროექტები მომზადდა ექსპერიმენტული კურსის: **საზოგადოებრივი სივრცე ყველასთვის და არქიტექტურულ/ურბანული ტრანსფორმაციები (ინვაციები და ტექნოლოგიები)** ფარგლებში, რომელიც 2018 წელს ამოქმედდა არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე. ექსპერიმენტული კურსის ფარგლებში ფაკულტეტის სტუდენტები მუშაობდნენ საკონკურსო პროექტზე: „**ახალი საზოგადოებრივი სივრცის (Urban Hub) კონცეფციის შემუშავება ქ. რუსთავისთვის“.**
მულტიდისციპლინარულ ექსპერიმენტული სასწავლო კურსი წარმოადგენს საერთაშორისო პროექტს, რომელშიც ჩართულები არიან საგნმანათლებლო სივრცე სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი, ბიზნესი შ.პ.ს. „ბაზალტ ფაიბერი“, კერძო სექტორი „იმჟინრული აზრი“, რუსთავის მუნიციპალიტეტის მერია და GEOBAY–ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო საბჭო. ექსპერიმენტული კურსის ხელმძღვანელი პროფესორი ნინო იმნაძე; თანახელმძღვანელები: GEOBAY - ბავარიის არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის პრეზიდენტი არქიტექტორი კარლჰეინზ ბეერ; არქიტექტორი, დოქტორი იორგ ჰეილერი, არქიტექტორი იაკობ ობერპილერი. შ.პ.ს. „ბაზალტ ფაიბერის“ დირექტორი გიორგი გოგოლაძე, ასოცირებული პროფესორი ნინო ჩაჩავა, ასისტენტი, დოქტორანტი ანა ბიბილაშვილი; არქიტექტორი, მაგისტრი მამუკა ბარათაშვილი.
კონკურსში გამარჯვებული პროექტის გამოვლენა შედგა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში. აღსანიშნავია, რომ ქალაქის რევიტალიზაციის პროექტი, რომლის კონცეფციაზე მუშაობაც, რუსთავის მერის ინიციატივით, მერიის ინოვაციების ჰაბმა ერთი წლის წინ დაიწყო, პირდაპირ კავშირშია კონკურსთან, რომლის მიზანიც, რუსთავში ახალი საზოგადოებრივი სივრცის მოსაწყობად საუკეთესო პროექტის გამოვლენა და ურბანული ჰაბის შექმნაა.

თავდაპირველად კონკურსში, სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 63 სტუდენტი იღებდა მონაწილეობას. თუმცა საკონკურსოდ უნივერსიტეტმა შეარჩია 10 პროექტი. შერჩეული 10 პროექტის ავტორები არიან: ალექსანდრე ტეტროიდი, ანა რატიანი, ბარბარე კიკილაშვილი, გიორგი ჩაბალუხა, გიორგი ზაქაშვილი, ქეთი კაჭარავა, ლევან ჭილაშვილი, ლევან ძეგველაშვილი, თეო გეგეშიძე, თორნიკე დუნდუა. სტუდენტების მიერ მომზადებული ნამუშევრები სპეციალურმა ჟიურიმ შეაფასა, რომლის შემადგენლობაშიც, მერიის წარმომადგენლები, ქართველი და გერმანელი ექსპერტები შედიოდნენ. რუსთავის მერიის ფოიეში მოეწყო სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა.

შეხვედრას რუსთავის მერი ირაკლი ტაბაღუა და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა ოფიციალური პირები, კომპანია „ბაზალტ ფაიბერს“-ის დირექტორი გიორგი გოგოლაძე, ასევე, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების პროექტის მენეჯერი მარია ბრეგაძე და საქართველოში გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

კონკურსის წინა ეტაპზე შერჩეული 10 ნამუშევრიდან, სპეციალურმა ჟიურიმ 4 საუკეთესო გამოავლინა.

მეორე ადგილი თეო გეგეშიძემ და ბარბარე კიკილაშვილმა, ხოლო პირველი ადგილი ქეთევან კაჭარავამ და რევაზ ძეგველაშვილმა დაიკავეს. გამარჯვებული პროექტების ავტორები სერთიფიკატებით და ფულადი პრემიით დააჯილდოვდნენ. ასევე კონკურსის მონაწილე ყველა სტუდენტს გადაეცათ სერთიფიკატები.

კონცეფციის შესაქმნელ ძირითად თემად, სტუდენტებს რუსთავის ,,პირამიდა“ ჰქონდათ შერჩეული, ერთ-ერთი პირველი ადგილიც, სწორედ ,,პირამიდის“ საუკეთესო კონცეფციამ -,,მეტალურგმა“ აიღო.

პროექტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, კომპანია „ბაზალტ ფაიბერს“-ის, ბავარიის არქიტეტქორთა გაერთიანების ინიციატივით და რუსთავის მერიის მხარდაჭერით ხორციელდება.




ქ. კაჭარავა




ლ. ძეგველაშვილი

***Lessons on Sustainable Architecture and Urban Planing***

2019 წლის 5 მარტს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე, 405 ც აუდიტორიაში 16 საათზე სტუდენტებისთვის და პედაგოგებისთვის ჩატარდა  საჯარო ლექცია თემაზე: Lessons on Sustainable Architecture and Urban Planing

ლექციას გაუძღვა ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის პროფესორი ანტონიო კასტელბრანკო. ლექცია ეხებოდა პროექტს BIOSPHERE2 (ბიოსფერო 2), რომელიც დააპროექტა ამერიკელმა არქიტექტორმა, ფრანკ ლოიდ რაიტის მოწაფემ ფილ ჰავეისმა. ლექციაზე საუბარი იყო თუ რა გავლენა აქვს ბიოსფერო 2 –ს არქიტექტურაზე და ქალაგეგმარებაზე, როგორ იყო ჩაფიქრებული და როგორ ფუნქციონირებს. რა გაკვეთილი შეიძლება მივიღოთ ამ პროექტიდან.

**ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის**

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ERASMUS+ პროგრამის PRINTeL პროექტის ფარგლებში

2019 წლის 6 და 7 მარტს სტუ–ს მასწავლებელტა პროფესიული გადამზადების ცენტრში (სტუ–ს 1 კორპუსი 227 აუდიტორია) 16 საათზე ჩატარდება ტრენინგი: **„ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“.**

ტრეინერები:

ასოც. პროფ. დალი სეხნიაშვილი (საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; საინჟინრო ეკონომიკის დეპარტამენტი)

ასოც. პროფ. ნათია ქოჩლაძე (არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი; ინტერიერის და დიზაინის დეპარტამენტი)

ანოტაცია

ვიდეო ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სასწავლო რესურსად იქცა როგორც online-სწავლაში, ასევე ტრადიციულ საკლასო ოთახშიც, რადგანაც აუდიოვიზუალური მასალა რთულ ინფორმაციას უფრო დასამახსოვრებელს ხდის. პედაგოგიური სტრატეგიები, მაგალითად ამობრუნებული კლასი (Flipped Classroom), ან ციფრული ხელსაწყოების- ინტერაქტიული დაფის, ტაბლეტის, მობილური ტელეფონის - გამოყენება სწავლისადმი ახლებური მიდგომის განვითარებას უწყობს ხელს და ზრდის სტუდენტების ჩართულობას. შეუძლებელი იქნება უმაღლესი განათლების ზრდადი მოთხოვნების დაკმაყოფილება მხოლოდ სწავლების ტრადიციულ მეთოდებზე დაყრდნობით.

კურსში განხილულია თუ როგორ გამოვიყენოთ ვიდეო სწავლება -სწავლაში, როგორც აუდიტორიაში, ასევე მის გარეთ, აღწერილია ვიდეოს გამოყენების მიზნები, მოყვანილია ვიდეოსწავლების უპირატესობები. ასევე განხილულია პორტუგალიის პორტოს უნივერსიტეტის გამოცდილება ვიდეო-სწავლებაში.

**ტრეინინგი "ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის" "PRINTeL" -ის პროგრამის ფარგლებში**

2019 წლის 6 და 7 მარტს სტუ–ს მასწავლებელტა პროფესიული გადამზადების ცენტრში 16 საათზე ჩატარდა ტრენინგი: **„ვიდეო, როგორც სწავლების იარაღი მასწავლებლებისა და სტუდენტებისთვის“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორებმა და დოქტორანტებმა. დასრულების შემდგომ მათ გადეცათ სერთიფიკატები. ტრენინგს გაუძღვა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნათია ქოჩლაძე.**



**ამერიკელი არქიტექტორის კონორ ბორჰარტის ლექცია და ვორქშოფი**

**2019 წლის 8 მარტს 10 საათზე სტუ–ს ფაბ ლაბში ჩატარდება ამერიკელი არქიტექტორის ლექცია და ვორქშოფი თემაზე: „კრიტიკული რეგიონალიზმი“**

***მასტერკლასი: „კრიტიკული რეგიონალიზმი“***

2019 წლის 8 მრტს სტუ-ს ფაბლბისა და ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკალასის დასკვნით მესამე ეტაპი გაიმართა. მესამე ეტაპის თემა გახლდათ „კრიტიკული რეგიონალიზმი“. მასში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკი და დიზინის ფაკულტეტის სტუდენტებმა. მასტერკლას გაუძღვა ამერიკელი არქიტექტორი კონორ ბორჰარტი.

**მეთოდიკური მითითება: „არქიტექტურული კრიტიკა – არქიტექტურული კვლევის მეთოდოლოგია“**

2019 წლის 13 მარტს გამოიცა მეთოდიკური მითითება: „არქიტექტურული კრიტიკა – არქიტექტურული კვლევის მეთოდოლოგია“. ავტორები სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები მაია დავითაია და მაია ძიძიგური.

გამოცემა განკუთვნილია არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მაგისტრატურის პროგრამა „არქიტექტურათმცოდნეობის“ სტუდენტებისთვის.

2019 წლის ზამთრის არდადეგების პერიოდის საპროექტო პრაქტიკის შესახებ

2019 წლის 15 მარტი. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მენეჯერის სამსახურის მიერ არქიტექტურულ, სამშენებლო კომპანიებთნ და რეგიონალურ/ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან დადებული მემორანდუმებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. 2019 წლის ზამთრის არდადეგების პერიოდში განხორციელდა II-IV კურსის სტუდენტების საპროექტო პრაქტიკა, შემდეგ კომპანიებთან და რეგიონალურ/ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან:

1. შპს „ექსპერტიზა“
2. ააიპ „ინჟინრული აზრი“
3. ქ. მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურის სამსახური.
4. ქ. გორის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახური.
5. ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის სამსახური.
6. ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის ზედამხედველობის სამსახური.
7. ქ. ბათუმის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური.

8. შ.პ.ს ქ.ბათუმი  კომპანია „ორბი ჯგუფი“
9. ქ.ბათუმი შ.პ.ს „გუმბათი ჯგუფი.“

2019 ზამთრის პერიოდის საპროექტო პრაქტიკაზე მონაწილეობა მიიღო 42 სტუდენტმა.
*საპროექტო პრაქტიკა იგეგმება 2019 წლის ზაფხულის  პერიოდშიც.*

ღონისძიება მიზნად ისახავს სტუდენტებისათვის პროფესიული და პრაქტიკული უნარ–ჩვევების ჩამოყლიბების ხელშეწყობას, რომელიც ხორციელდება 2015 წლიდან. ყოველ წლიურად ზამთრის და ზაფხულის არდადეგების პერიოდში 100 ზე მეტი სტუდენტი გადის საპროექტო პრაქტიკას.
შეგიძლიათ იხილოთ პრაქტიკის სურათები*:*

*ანაზღაურებადი სტაჟირება მაგისტრანტების და დოქტორანტებისთვის ქალაქგეგმარების მიმართულებით*

2019 წლის 22 მარტი.

დაგეგმილია ანაზღაურებადი სტაჟირება ქალაქგეგმარების მიმართულებით.

თემა: მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმების, ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების და ქალაქთმშენებლობითი კადასტრის შექმნა.

დაინტერესებულმა მაგისტრანტებმა ან დოქტორანტებმა მიმართედ შპს ამხანაგობა „აქოლისი“–ს ელ.ფოსტით akolis.architect@gmail.com ან ტელ: 599 90 17 45

პრიორიტეტი შერჩევისას მიენიჭება ქალაქგეგმარების მიმართულებას.

*კომპანია „ეუროფასადი“ – საჯარო ლექცია „მოპირკეთების თანამედროვე სტანდარტი“*

2019 წლის 19 მარტს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც. აუდიტორიაში 14 საათზე ჩატარდა შეხვედრა კომპანია „ეუროფასადის“ წარმომადგენლებთან. "ეუროფასადის" საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა სამშენებლო მასალების იმპორტი და მშენებლობის ორგანიზაცია.

კომპანიის დამფუძნებელმა ბესარიონ საბაშვილმა ფაკულტეტის სტუდენტებს და პედაგოგებს წარუდგინა კომპანია, რომლის მიზანია შექმნას ესთეტიკურად ლამაზი გარემო ეკოლოგიურად ჯანსაღი მასალით და პროდუქციის უმაღლესი ხარისხით. და ვიზუალური მასალების საშუალებით პრაქტიკულად აჩვენა თანამედროვე მასალების შესაძლებლობები შენობათა ფასადების მოპირკეთებისას და როგორი ტექნოლოგიით ხორციელდება მათი მიმაგრება ფასადებზე. ლექცია წარიმართა დიალოგის რეჟიმში. ლექციის დასრულების შემდეგ კომპანიის დამფუძნებელმა სტუდენტებს შესთავაზა სპეცპროექტი: ეუროფასადია „შოურუმი“,რომელსაც დააპროექტებენ სტუდენტებთან ერთად. აღნიშნული პროექტი საკონკურსოა, რომელიც სტუდენტებს მისცემს საშუალებას იმუშაონ რეალურ პროექტზე და პრაქტიკულად გამოიყენონ ეუროფასადის მიერ წარმოდგენილი საფასადე მასალები.

***პროექტი: „შოურომი“ კომპანია „ეუროფასადისთვის“***

2019 წლის 27 მარტს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებმა დაათვალიერეს საპროექტო ტერიტორია კომპანია „ეუროფასადის“ შოურუმისთვის. შოურუმის დაპროექტება ეუროფასადის დამფუძნებელმა ბესარიონ საბაშვილმა შესთავაზა სტუდენტებს. ეს არის პროექტი, რომელიც პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას აძლევს თვითოეულ მონაწილეს.

სტუდენტებს საშუალება მიეცათ, დეტალურად დაეთვალიერებინათ კომპანიის ობიექტი, წარმოედგინათ საკუთარი ხედვები და დირექტორთან ერთად განეხილათ მომავალი “შოურუმის” დაგეგმარებითი სამუშაოები.

სტუდენტებს პროექტის და საპროექტო დავალების შედგენაში დაეხმარებიან ფაკულტეტის პროფესორები: ნინო იმნაძე, შოთა გელაშვილი, ქეთევან სალუქვაძე და გურამ ხოსრუაშვილი.

*კომპანია „ეუროფასადი“ სტუდენტებისთვის აცხადებს კონკურსს*

17 აპრილი 2019 კომპანია „ეუროფასადი“ არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აცხადებს კონკურსს არქიტექტურული პროექტის შესაქმნელა. თემა: ეუროფასადის ახალი ოფისი და შოურუმი. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია სწავლების ყველა საფეხურის სტუდენტს. აქციის მთავარი მიზანია სტუდენტებში პროფესიული უნარ-ჩვევაბის განვითარება და რეალურ პროექტზე მუშაობის გამოცდილების შეძენა.

კონკურსის პირობები:
•მოცემული აზომვითი ნახაზის და გეგმის შესაბამისად 2019 წლის 8 მაისამდე უნდა გაიგზავნოს ინტერიერის და ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი, არანაკლებ სამი რენდერის თანხლებით მეილზე info@eurofasad.ge
აუცილებელია პროექტს თან ერთვოდეს შემდეგი ინფორმაცია:
•კონკურსანტის(ან კონკურსში მონაწილე ჯგუფის) სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია (კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ სტუდენტებს)
•საკონკურსო პროექტები მიიღება კონკურსის გამოცხადების დღიდან 2019 ლის 8 მაისამდე
•გამარჯვებულები გამოვლინდებიან კონკურსის ჟიურის მიერ 2019 წლის 10 მაისს.

**პრიზები:**

1. **პირველ ადგილზე გასული დასაჩუქრდება 1500 ლარით;**
2. **მეორე ადგილზე გასული დასაჩუქრდება 1000 ლარით;**
3. **მესამე ადგილზე გასული დასაჩუქრდება 500 ლარით**

გაითვალისწინეთ:

•საკონკურსო ვადის ამოწურვის შემდეგ მიღებული პროექტები აღარ განიხილება.

გისურვებთ წარმატებას

კონკურსზე წარდგენილ პროექტებს შეაფასებს ჟიური:

•საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი ნინო იმნაძე;
•სტუ ს პედაგოგი: არქიტექტორი ვასილ ქობულია;
•კომპანია „ეუროფასადის“ დირექტორი ბესიკ საბაშვილი-ჟიურის თავმჯდომარე;
•კომპანია ეუროფასადის ტექნიკური დირექტორი ანდრეი სლაძევსკი;
•თსსა პროფესორი,არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი
•თსსა პროფესორი ნოდარ ამაშუკელი
•თსაა პროფესორი გიორგი ჩხაიძე
•ილიას უნივერსიტეტის ორი პედაგოგი

**გადმოიწერეთ კონკურსისთვის აუცილებელი მასალები მიმაგრებული ფაილებიდან ან ეწვიეთ ვებგვერდს:**

**ფეისბუქ გვერდი: EuroFasad Georgia**

http://eurofasad.ge/%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%94-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%98/?fbclid=IwAR1f_Wjmoy8OiAfW9GDz61iNq545kYr7b-Hz-_u_r9KI9cfi9EFt7cCFIwo

http://eurofasad.ge/%E1%83%A9%E1%83%90%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%94-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%A8%E1%83%98/?fbclid=IwAR1f_Wjmoy8OiAfW9GDz61iNq545kYr7b-Hz-_u_r9KI9cfi9EFt7cCFIwo

**პროექტი: ეუროფასადის ახალი ოფისი და შოურუმი.**

კონკურსში მონაწილე სტუდენტების საყურადღებოდ: პროექტების მიღება წყდება ოთხშაბათს,2019 წლის 8 მაისს 24 საათზე.
ნამუშევრები უნდა გააგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:info@eurofasad.ge

***სპეციალური კონკურსი ლოგოზე: RIO-2020***




2019 წლის 22 მარტი. საქართველოს არქიტექტორთა კავშირის საერთაშორისო სათაო ორგანიზაციის UIA-ს (არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირი) მომდევნო 2020 წლის კონგრესი ტარდება რიო დე ჟანეირო-ში.
https://www.uia-architectes.org/webApi/en/congress
UIA – UNESCO შეთანხმებით ქალაქი სადაც სამომავლოდ ჩატარდება მორიგი კონგრესები ენიჭებათ „არქიტექტურის მსოფლიო დედაქალაქის“ წოდება.
აღნიშნულიდან გამომდინარე RIO-2020-სათვის გამოცხადდა სპეციალური კონკურსი ლოგოზე.
https://www.uia-architectes.org/…/uia-logo-competition-worl…
Design criteria

• Designs must be bold, clear, legible from a distance (for example, when used on banners and posters). • Designs must be adaptable to a variety of formats, media and sizes. • Designs should include the phrase “UNESCO-UIA World Capital of Architecture” in English and should convey the programme’s theme and content. • Designs must be compatible with additional logotypes, equivalent in size to the UIA logotype. • The working language is English

Candidates must submit logotype designs in A4 format (210mm × 297mm or 8.3” × 11.7”). • Designs must be 300dpi and maximum 10MB in size. • Accepted file types: pdf, jpeg, jpg, png, tif, tiff, ai, eps • Designs may use any colour or combination of colours, but must reflect careful consideration of legibility—especially from a distance—and ease of reproduction. • Designers are required include a statement of maximum 100 words to explain how the submitted design interprets the World Capital of Architecture. Please use the designated field. • Designers must provide proof of authorization to use any graphic or artistic elements that are not their own work. • Candidates may include up to 3 variations on their logo design (optional). • Candidates may include a supporting document for their design, e.g. a style guide/design brief etc (optional).

***სასწავლო პრაქტიკა: მშენებლობის უსაფრთხოება***

2019 წელის 12 აპრილიდან სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის, არქიტეტექტურული გეგმარებისა და ურბანისტიკის დეპარტამენტის, არქიტექტურული გეგმარების მიმართულების მე–4 კურსის ბაკალავრები (65114 ჯგ. 65115 ჯგ. 65116 ჯგ, 65117 ჯგ.) გაივლიან სასწავლო პრაქტიკას მშენებლობის უსაფრთხოებაში. პრაქტიკას გაუძღვება არქიტექტურის მაგისტრი გურამ ბაღაშვილი. პრაქტიკის ხანგრძლივობა 2 თვე.

სასწავლო პრაქტიკის მიზანია სტუდენტებს შეასაწვლონ სამშენებლო სფეროსთან დაკავშირებულ მშენებლობის უსაფრთხოების საკითხებს. სწავლების პროცესში მოხდება რეალური ქეისების განხილვა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდის საშუალებით პრაქტიკული უნარების გამომუშავება საქართველოში მიღებული ახალი სტანდარტების და პროცედურების შესაბამისად.

აღნიშნულ პრაქტიკას სტუდენტები გაივლიან იმ კომპანიებში, რომელთანაც გაფორმდა მემურანდუმები: შპს „დომუს დეველოპმენტი“, შპს „გეო ბილდერსი“, შპს „მაქრო ქონსთრაქშენი“, შპს „აქსის გრუპი“, შპს „ლისი ფო“.

***პრაკტიკული კურსის ფარგლებში გასავლელი ობიექტების ფოტოები:***

*გეო ბილდერსი*

*აქსისი*

*დომუსი*

*ლისი ფო*

*აქსისი ტაუერი*

*დომუსი იპოდრომი*

*თი ბი სი ბანკი* *ქინგ დევიდი* *მაკრო კონსტრაქშენ*

*Seminar: "Architecture, Design and the City of the Future"*

იტალიური დიზაინის დღესთან" დაკავშირებით 2019 წლის 20 მარტს თბილისში, იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმში გაიმართა სემინარი "არქიტექტურა, დიზაინი და მომავლის ქალაქი".

სემინარზე ახალგაზრდა იტალიელმა არქიტექტორამა სტეფანო რაგაცომ (Stefano Ragazzo) წარმოადგინა საინტერესო პრეზენტაცია: „საერთო სივრცეთა აგება" (**„Building common spaces")**

**სტეფანო რაგაცო** (იტალიაში, ესპანეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, საბერძნეთში, უკრაინაში, პორტუგალიასა და ჰოლანდიაში განხორციელებული მრავალრიცხოვანი პროექტების ავტორი არქიტექტორების ჯგუფი **Orizzontale**) თავის მოხსენებაში „საერთო სივრცეთა აგება" მოგვითხრობს კავშირზე ადამიანსა და მის გარშემო არსებულ ურბანულ პეიზაჟს შორის და, ასევე, ქალაქის მაცხოვრებლებსა და ქალაქის ადმინისტრაციებს შორის ახალი ტიპის თანამშრომლობაზე.

მიმაგრებულ ფაილში შეგიძლიათ გაეცნოთ აღნიშნულ მასალას.

**ვახტანგ დავითაია „მე ვიცავ ველოსიპედს"**

**2019 წლის 13–19 მარტს გაზეთ „საქართველო და მსოფლიო" გამოქვეყნდა აკადემიკოს ვახტანგ დავითაიას სტატია „მე ვიცავ ველოსიპედს"**

**გთავაზობთ სტატიის სრულ ვერსიას**

XX საუკუნის ბოლოდან და შემდგომ, ევროპისა და მსოფლიოს რიგი ქვეყნების, სახვით ხელოვნებაში თავს იჩენს ყოფითი სიუჟეტების ტენდენცია. დღეს მსოფლიოს ქალაქებში მრავლადაა ყოფითი ნივთების - სავარძლების, ველოსიპედების, საყოფაცხოვრებო ატრიბუტიკის „ქანდაკებები" უტრირებულ მასშტაბში. პრაღის ცენტრალურ ქუჩებში ნახავთ ჭრელ-ჭრელა ძროხების ქანდაკებებს. ისინი თავისი ფერადოვნებით აცოცხლებენ გარემოს, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, პრაღელები მათ არ აფასებენ ხელოვნების კრიტერიუმებით, არ განიხილავენ კომპოზიციას, პლასტიკას, სიუჟეტს, ძერწვის მანერას და სხვა. გამოჩენილი ფრანგი მოქანდაკე შარლ სემსერი თავის კომპოზიციებში რეალურ ნივთებს იყენებს - საყვირი, მოტოციკლი, ვედრო, ფოტოაპარატი და სხვა, არც თუ იშვიათად, სემსერი, ადამიანის სხეულის ამა თუ იმ ნაწილს - თმებს, მუცელს, მკლავებს გამწვანებით „ავსებს". ადამიანებში ეს უცნაურობები ინტერესს იწვევენ, მიდიან, ფოტოებს გადაიღებენ და ამით მთავრდება ყველაფერი. მათ არავითარი იდეურ-შემეცნებითი ფუნქცია არ გააჩნიათ.

არც თანამედროვე არქიტექტურაა გულგრილი ამ პროცესისადმი. არქიტექტორ ფილიპ სტარკის ლუდის ქარხნის შენობის სახურავზე ტოკიოში სტაფილოს უზარმაზარი „ქანდაკებაა“ განთავსებული. ფლორიდაში, ქ. ორლეანში, არქიტექტორ მაიკლ გრეივზის სასტუმროს სახურავზე შთამბეჭდავი მასშტაბის დელფინის და გედის ქანდაკებებია შემოდგმული, ხოლო XX საუკუნის ერთ-ერთი ავანგარდისტული შენობის, ქ. ბილბაოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმთან, ამერიკელი მოქანდაკის ლუიზა ბურჟუას 12 მეტრის სიმაღლის ბრინჯაოს ობობა - „დედა“ დგას, რომელიც ვენეციის 48-ე ბიენალეს უმაღლესი ჯილდოთი „ოქროს ლომით“ აღინიშნა, იქვე, მეზობლად დგას 13 მეტრის სიმაღლის ყვავილებით შემოსილი ლეკვის ქანდაკება. მოგეხსენებათ, ბატონ საკაშვილს ჰქონდა ჟინიანი სწრაფვა საქართველო, რაც შეიძლება ჩქარა, გამხდარიყო „ევროპული“ და ამას ის ცდილობდა არქიტექტურისა და ხელოვნების მეშვეობითაც. „შლოპანცები“, ველოსიპედი და მოშუშული სახლები ამის დადასტურებაა.

ყოფითი სიუჟეტების ტენდენციას საქართველომაც აუბა მხარი, მაგრამ ამ პროცესს „მშვიდობიანად“ არ ჩაუვლია. განსაკუთრებული რისხვა დაატყდა ფრანგი ქალბატონის ლილი ფანტოცის გიგანტურ კვერცხსებზე დადებულ „შლოპანცებს“ და ფრანგი ჟან დუპეს ორსაჭიან ველოსიპედს. საზოგადოება შედარებით კეთილგანწყობილი იყო არქიტექტორ თამარ კვესიტაძის, საქართველოში პირველი კინეტიკური (მოძრავი) კომპოზიციის - ალი და ნინოს მიმართ, რაშიც სიახლესთან ერთად გარკვეული როლი ითამაშა ალი და ნინოს სენტიმენტალურმა ლეგენდამ.

დიდ ინტერესს იწვევენ გია ჯაფარიძის კომპოზიციები: „ახალგაზრდობა“ ბარათაშვილის ხიდზე, ასევე ულამაზესი, სახასიათო - ყოფითი კომპოზიციები სიღნაღში - ვირზე ამხედრებული ქოლგიანიო „სოფლის ექიმი“ და „ქალიშვილი ძაღლით“, „დედაშვილობა“ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირზე და სხვა. დედაქალაქის სტუმრები ინტერესით ათვალიერებენ რუსთაველის გამზირზე ლევან ბუჯიაშვილის მცირე ზომის „თბილისელ პერსონაჟებს“.

ეს წერილი მხარდაჭერაა ამ ჟანრისადმი. ნაცნობი ყოველდღიურობა, ყოფითი სიუჟეტები, რომლებიც ოჯახებიდან გამოვიდნენ ღია სივრცეში, ქალაქის ქუჩებში, რომლებიც ადრე მხოლოდ გრაფიკა-ფერწერის, განსაკუთრებით კი დიმიტრი ერისთავის, „კუთვნილება“ იყო, დღეს მოქანდაკეთა ინტერესის სფეროშია მოქცეული.

ცხადია, ყოფითი ქანდაკებები ვერ შეცვლიან სალონურ და მონუმენტურ ქანდაკებებს. ისინი სხვადასხვა ორბიტაზე მოძრაობენ და ვერასდროს შეხვდებიან კონფლიქტურ წერტილებში. სურვილი მაქვს, ამ მიმართულების უცხოური პრაქტიკა გავაცნო საზოგადოებას, ვინძლო, ამ ინფორმაციამ ერთხელ და სამუდამოდ დაამთავროს „შლოპანცების“ და ველოსიპედის აღებაზე საუბარი. ისინი არ იმსახურებენ ასეთი ხანგრძლოვობის ხმაურს. თუ ბოლომდე გულწრფელი ვიქნები, ბათუმის „შლოპანცები“ და თბილისის ველოსიპედი ნაკლებად მაწუხებს, ვინემ ბოლო პერიოდის უსახური, უინტერესო, მოშუშული, უმისამართო, უსამშობლო არქიტექტურა. ფოტო-ექსპოზიცია კომენტარის გარეშე ასახავს მოვლენის არსს.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე მხატვარ ლორენცო კუინის კომპოზიციაზე „თანადგომა“ („Support“) – ვენეციაში, “კანალე გრანდედან” ამოსული ორი გიგანტური ხელი, სასტუმრო “კა საგრედოს” ისტორიულ შენობას ელოლიავება, ეხიდნებიან, მოგვიწოდებენ გადავარჩინოთ ძეგლი, ზოგადად კი დედა-მიწა, სამყარო, ეკოლოგია, რომელსაც კაცობრიობა დღემდე მხოლოდ მოიხმარს და ანადგურებს.

„ხელების“ ქანდაკება ემოციურად გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ათეულობით სამეცნიერო კონფერენცია და სტატიები ეკოლოგიაზე და ისტორიული ძეგლების გადარჩენაზე.

***აბიტურიენტების საყურადღებოდ!***

სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე 2019 წლის 6 აპრილს 12 საათზე (405 ც აუდიტორიაში) გაიმართება ღია კარის დღე

ეს არის შესაძლებლობა ეწვიოთ ფაკულტეტს, გაეცნოთ საგანმანათლებლო პროგრამებს პედაგოგებს, მიიღოთ პასუხები თქვენთვის საინტერესო კითხვებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას 68, სტუ–ს პირველი კორპუსის ც ბლოკი, მე–4 სართული

*წიგნების ჩამონათვალი, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ საჩუქრად გადასცა სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიბლიოტეკას.*

*2019 წლის 29 მარტს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცა 15 სახელოვნებო წიგნი.*

1. *წიგნი ალბომი „ისლამი ქარტული სახვიტი ხელოვნებასა და ხუროთმოძღვრებაში“*
2. *კულტურა და მხატვრული ცხოვრება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში (1919–1921)*
3. *წიგნი–ალბომი „ვარლა“*
4. *წიგნი–ალბომი „კირილე ზდანევიჩი. ცხოვრება და შემოქმედება“*
5. *წიგნი–ალბომი „ნიკოლოზ ყაზბეგი“*
6. *ბროშურა თანდართული დისკით „პანკისის ქისტების ტრადიციული მუსიკა“*
7. *წიგნი–ალბომი „წვროპელები საქართველოში“*
8. *წიგნი–ალბომი „ჟანრი ლოლაშვილი“*
9. *წიგნი–ალბომი „თეიმურაზ ნინუა“*
10. *წიგნი–ალბომი მხატვარ „გურამ გელოვანის შემოქმედება“*
11. *წიგნი–ალბომი „ემა ღალაევა–ედიბერიძე“*
12. *წიგნი–ალბომი „ალექსანდრე შევარდნაძე–150“*
13. *წიგნი–ალბომი „რევაზ იაშვილი–შემოქმედება და მოღვაწეობა“*
14. *წიგნი–ალბომი „პანკისი და ქისტები“*
15. *პონტოელი ბერძნების კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში.*

*სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დიდი მადლობას უხდის საქართველოს განათლები, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილეს მიხეილ გიორგაძეს.*

**Poetics of Architecture** **არქიტექტურის პოეტიკა**

2018 წლის 29 მარტს „არქიტექტურული პოეტიკის“ სტუდიაში 2018/19 სასწავლო წლის მე–2 კურსის სტუდენტებმა წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები: შტუდიები დავალებისთვის “პავილიონი”. არქიტექტურული და ფერწერული ნიშნების დიალოგი.




***გამოვიდა ჟურნალი „დაიჯესტი“***

2019 წლის 30 მარტს გამოვიდა ელექტრონული ჟურნალ „დაიჯესტის“ 21–ე ნომერი. ჟურნალი ასახავს მსოფლიო არქიტექტურის და სტუ–ს არქიტექტურული მიმართულების 2018–2019 სასწავლო წლის მნიშვნელოვან მოვლენებს. მსოფლიო არქიტექტურის კონტექსტში წარმოდგენილია სტუდენტური პროექტები.

M1
ბოლის სამყარო
Cold Smoke
M1
მოხუცთა თავშესაფარი
House of the Old Mind
B4
საგვიანებლად სახლი
Dwelling House
B4
ფერმა
Farm
B2
პავილიონი
Pavilion
B2
პავილიონი
Pavilion
B2
მ მონადირის სახლი
Hunter s House

*საჯარო ლექცია: „თანამედროვე მიწის არქიტექტურა“*

2019 წლის 1 აპრილს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405ც აუდიტორიაში 13 საათზე ჩატარდა საჯარო ლექცია თემაზე: „თანამედროვე მიწის არქიტექტურა“.ლექციას გაუძღვა არქიტექტორი გივი ჯაყელი, შპს „ტერა კავკასიის“ დამფუძნებელი, რომელიც ხელს უწყობს მიწის არქიტექტურის განვითარებას საქართველოში. ლექციაზე წარმოდგენილი იყო მიწის არქიტექტურის მაგალითები, როგორც მსოფლიოში ისე საქართველოში. განმარტებული იყო მისი მნიშვნელობა და უპირატესობები თანამედროვე სამშენებლო მასალებთან შედარებით. მიწის არქიტექტურა ნედლი მიწით მშენებლობის უძველესი სამშენებლო ტექნოლოგიაა, რომელიც დღეს ძალზე აქტუალურია, რადგან იგი გამოირჩევა ეკოლოგიურობით, მდგრადობით და ენერგოეფექტურობით. რაზეც მეტყველებს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება. დამუშავების შედეგად საინტერესო ფაქტურას იღებს, რაც ვიზუალურად საინტერესოს ხდის ნაგებობის არქიტექტურას. აღსანიშნავია, რომ დღეს აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა სოფელ „ახალი ვარჯაანის“ აღორძინებაზე, რომლის პროექტზეც მუშაობენ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები. არსებობს მოსაზრება, რომ ახალი სოფლის განაშენიანებაში გამოყენებული იყოს მიწის არქიტეტურა. ლექციის ბოლოს მომხსენებელმა გივი ჯაყელმა სტუდენტებს შესთავაზა ვორქშოფში მონაწილეობა, სადაც სტუდენტებთან ერთად მიწისგან შექმნიან სამსენებლო მასალას და ააშენებენ მცირე მოცულობის ობიექტს.

*მერაბ ბერძენიშვილის დავით აღმაშენებლის ძეგლის ახალ ადგილზე დადგმის ესკიზური პროექტის პრეზენტაცია მწერალთა სახლში*

***2019 წლის 1 აპრილს მწერალთა კავშირში აკადემიკოსმა ვახტანგ დავითაიამ წარადგინა მერაბ ბერძენიშვილის დავით აღმაშენებლის ძეგლის ახალ ადგილზე დადგმის ესკიზური პროექტი. პრეზენტაციას ესწრებოდნენ არქიტექტორები, მწერლები, მხატვრები, ჟურნალისტები, კინორეჟისორები და საზოგადო მოღვაწეები.***

**ანაზღაურებადი სტაჟირება ქალაქგეგმარების მიმართულებით**

ამხანაგობა "აქოლისი" მცხეთის გენგეგმაზე მუშაობას იწყებს და არქიტექტურის სპეციალობის ბაკალავრის საფეხურის მე–3 და მე–4 კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის აცხადებს ანაზღაურებად სერთიფიცირებულ სტაჟირებას. გრაფიკი–სტუდენტებზე მორგებული დრო.

საკონტაქტო: 574 22 88 89

ელ.ფოსტა:info@akolis.com

***გამოვლენილია მასტერკლასის: „კრიტიკული რეგიონალიზმი“ გამარჯვებული***

2019 წლის 8 მრტს სტუ-ს ფაბლბისა და ოჰაიოს ცინცინატის უნივერსიტეტის ერთობლივი მასტერკალასის დასკვნით მესამე ეტაპი გაიმართა. მასტერკლასის თემა იყო „კრიტიკული რეგიონალიზმი“

2019 წლის 3 აპრილს ფან ლაბმა გამოავლინა გამარჯვებული პროექტის ავტორი: სოსო ჩხაიძე, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი

იგი ასევე იქნა დასახელებული გამარჯვებულად, ამერიკელი არქიტექტორების ჯგუფის მიერ Connor Patrick Borchardt -ის ხელმძღვანელობით :

ვციტირებთ მის შეფასებას:

"Soso's project was well thought out and successfully pulled together multiple design elements. He exemplified his understanding of Critical Regionalism through the integration of historic Georgian residential and military typologies. In addition, his work had a strong focus on the different materials commonly used in historic vernacular architecture. Congratulations to Soso for winning the recent competition."

ფაბ ლაბის ჩართულობა იქნება შემდეგი:

მასთან ერთად მოხდება დეტალიზაცია მთლიანი პროექტის და დამზადებული პროტოტიპის ნახვა შეეძლება ყველა მსურველს .....

**კნაუფის სასწავლო ცენტრი**
**KNAUF training center**

2019 წლის 2 აპრილს შედგა შეხვედრა კნაუფის მარკეტინგის და გაყიდვების დირექტორთან გიორგი ჯაფარიძესთან. შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისთვის სასწავლო კურსის გავლა კნაუფის სასწავლო ცენტრში. კნაუფის სასწავლო ცენტრი ევროპული სტანდარტის სასწავლო ცენტრია. მისი მიზანია სტუდენტების და ყველა სხვა დაინტერესებული პირებს მისცეს ცოდნა მშრალ და ტრადიციული მშენებლობის სხვადასხვა დარგში. სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს გერმანიის სამთავრობო ორგანიზაცია DEG-ის (გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების საზოგადოება) პატრონაჟით. შეხვედრაზე გაფორმდა მემურანდუმი სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტსა და კნაუფის სასწავლო ცენტრთან. მემურანდუმის საფუძველზე სტუდენტები გაივლიან სასწავლო კურს თეორიას და პრაქტიკას თანამედროვე სამშენებლო მასალებზე.





***შეხვედრა კომპანია „ინდექსის“ წარმომადგენლებთან***

2019 წლის 4 აპრილს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტსა და კომპანია „ინდექსს“ შორის შედგა სამუშაო შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ ფაკულტეტის დეკანი ნინო იმნაძე, ასისტენს პროფესორი ბელა თინიკაშვილი და კომპანია „ინდექსის“ გენერალური მენეჯერი თეიმურაზ მეგრალიშვილთან და მენეჯერი ლია არდაზიაშვილი. შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისთვის მთელი რიგი ღონისძიებების დაგეგმვა მათი განვითარებისთვის, მათ შორის: კომპანიის საქმიანობის გაცნობა, ლექციის და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, კონკურსების ორგანიზება, სტიპენდიის დანიშვნა და სხვა. კომპანიას სურს თავისი წვლილი შეიტანოს ახალგაზრდების განვითარებაში. კომპანია წარმოადგენს ექსკლუზური დიზაინის ავეჯს, ინტერიერის აქსესუარებს და ეკოლოგიურად სუფთა მოსაპირკეთებელ მასალებს. კომპანიისმპროდუქცია ცნობილია ხუთივე კონტინენტზე, აქ მუშაობენ მსოფლიოში ცნობილი დიზაინერები.

*ღია კარის დღე სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე*

*2019 წლის 6 აპრილს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე 405ც აუდიტორიაში 12 საათზე აბიტურიენტებისთვის გაიმართა ღია კარის დღე. ღია კარის დღეზე აბიტურიენტებს ფაკულტეტის დეკანმა ნინო იმნაძე გააკეთა პრეზენტაცია, სადაც ნაჩვენები იყო ფაკულტეტის, მისი ისტორია და განვითარების თავისებურება, განხილული იყო სასწავლო პროგრამები. საუბარი იყო ხატვაში და ხაზვაში გასაუბრების ფორმებზე, შეფასების სისტემაზე. ასევე პირველად ფაკულტეტზე შეიქმნა საკონსულტაციო ჯგუფი ხატვაში და ხაზვაში, რომელიც დაეხმარება აბიტურიენტებს გასაუბრებაზე წარმოსადგენი მასალების დამუშავებაში, ალბომის შექმნაში, საგაზისო უნარების შესწავლაში და სხვა.*

*კავკასიის მთის ფორუმი – 2019*

*2019 წლის 16 აპრილს სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა საინფორმაციო შეხვედრა კავკასიის მთის ფორუმთან დაკავშირებით, რომელიც 2019 წლის 30 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე ჩატარდება ქ. ანკარაში. ეს არის კავკასიის მთიანი რეგიონების სამეცნიერო ქსელი, რომელიც დაარსდა 2014 წელს, როგორც ღია პლათფორმა მკვლევარებისა და კავკასიის კვლევებით დაინტერესებული მხარეებისთვის. შეხვედრას დაესწრნენ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, მკვლევარები, დოქტორანტები.*

*დაწვრილებით ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ მიმაგრებულ ფაილში. ასევე ვებგვერდე*

***www.caucasus-mt.net***

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა 87–ე სერთაშორისო ღია სამეცნიერო კონფერენცია*

http://gtu.ge/pdf/brdzanebebi/brZ.01-09-1104.pdf

მასტერკლასი „ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“

2019 წლის 11 აპრილს „მეტი დეველოპმენტმა“ სტუ–ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარეს მასტერკლასი „ახალი ბიზნეს იდეები და ტენდენციები“.

**მასტერკლასი ჩაატარეს მეტი დეველოპმენტის სპეციალური მოწვევით: ნიდერლანდელმა არქიტექტორებმა ბერენდ ვან ეგმონდი, მეც. მაგისტრი და ემილია ვან ეგმონდი, მეცნ. დოქტორი. მასტერკლასის ბოლოს სტუდენტებს გადეცათ სერთიფიკატები. დიდი მადლობა ორგანიზატორს „მეტი დეველოპმენტს“ და იდეის ავტორს „იოტა დიზაინს“**

**მასტერკლასის თემები:**

**1. საოფისე შენობების ტენდენციები და უახლესი მოვლენები**

**2. ინოვაცია და მდგრადი შენობების მშენებლობა**

ბერენდ ვან ეგმონდი

დაიბადა 1947 წელს ქალაქ დელფტში, ნიდერლანდები

დაამთავრა დელფტის ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურასა და სამშენებლო ინჟინერიაში;



მოქმედი არქიტექტორი ნიდერლანდებში, განასა და ინდონეზიაში;

მარკეტინგის მენეჯერი კომპანიაში „Philips Lighting International“;

კომპანია Maars-ის გენერალური მენეჯერი. კომპანია აწარმოებს ჭერის სისტემებს, მოძრავ ტიხრებს და განათების სისტემებს;

კომპანია „VEG Interior Building Systems BV“-ის მფლობელი და აღმასრულებელი დირექტორი. კონსულტანტი საცხოვრებელი ფართების კონცეფციების, უძრავი ქონების მენეჯმენტის, ობიექტის მენეჯმენტისა და ინტერიერის არქიტექტურის საკითხებში;

მოქმედი ბიზნეს მრჩეველი, რწმუნებული, უნივერსიტეტის ლექტორი;

კონსულტანტი მოხალისეთა ორგანიზაციაში „PUM Netherlands Senior Experts“ (PUM ნიდერლანდების უფროსი ექსპერტები).

**ემილია ვან ეგმონდი, მეცნ. დოქტორი**

დაიბადა 1948 წელს

დაამთავრა დელფტის ტექნიკური უნივერსიტეტი, ნიდერლანდები. მეცნიერებათა მაგისტრი არქიტექტურასა და სამშენებლო ინჟინერიაში;

მოქმედი არქიტექტორი ნიდერლანდებში, განასა და ინდონეზიაში;

მეცნიერებათა დოქტორი დელფტში, ტექნოლოგიის მენეჯმენტი, ინოვაციები და მდგრადობა შენობების მშენებლობაში 1999 წლიდან;

მკვლევარი და ლექტორი ეინდჰოვენის ტექნიკურ უნივერსიტეტში, ნიდერლანდები;

უნივერსიტეტებს შორის შუამავალი ინდონეზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში;

კონსულტანტი მოხალისეთა ორგანიზაციაში „PUM Netherlands Senior Experts“ (PUM ნიდერლანდების უფროსი ექსპერტები).

**ორგანიზატორი „მეტი დეველოპმენტი“ და იდეის ავტორი „იოტა დიზაინი“**

www.meti.ge

***შემეცნებითი პროექტი: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“***

2019 წლის 24 აპრილს 12 საათზე სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში გაიმართება სტუდენტური შემეცნებითი პროექტი: “ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“;

პროექტში მონაწილეებმა უნდა წარმოდგინონ  ნებისმიერი სახის მასალა (რეფერატი, პრეზენტაცია, ესსე, ლექსი, მოთხრობა, გრაფიკული ჩანახატი, მოდელი, ნახატი, პლაკატი, ფოტოკოლაჟი, შარჟი, მულტფილმი, მხატვრული ფილმი ან სხვა), რომელიც დაკავშირებულია პარიზის ღვთიშობლის ტაძართან.

ყველა მონაწილე წახალისდება.

საუკეთესო სამი ნამუშევარი აღინიშნება პრიზებით:

I ადგილი - 100 ლარი

ორი II ადგილი - 50/50 ლარი

შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მასალის წარმოდგენის კულტურა და ორიგინალობა.

გრაფიკული ან სხვა სახის მასალა უნდა წარმოადგინოთ არაუგვიანეს 23 აპრილისა ფაკულტეტის დეკანთან ან დეკანის მოადგილესთან. ამ მასალებით,  თქვენი დახმარებით ფაკულტეტის ფოიეში მოეწყობა გამოფენა.

ხოლო ელექტრონულად გამოაგზავნეთ მეილზე: arch@gtu.ge

**ამ აქციით  გამოვხატავთ ჩვენს დამოკიდებულებას მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მიმართ.**

შემეცნებითი პროექტის კორდინატორი: ნინო იმნაძე

ჟიური: თამრიკო ჭანტურია, ნინო ხაბეიშვილი, თინიკო ჩიგოგიძე, მაია დავითაია, მარინა მაისურაძე, ნათია ქოჩლაძე, შოთა გელაშვილი.

***შემეცნებითი პროექტი: „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“***

2019 წლის 24 აპრილს 12 საათზე სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში გაიმართა სტუდენტური შემეცნებითი პროექტი: “ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი“; ამ პროექტით გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება პარიზში მომხდარი ტრაგედიის მიმართ. პროექტში მონაწილეობა მიიღეს: აკაკი სხვიტარიძე, სოსო ჩიბურდანიძე, გოგონა პარკაია, გიორგი ჩაჩანიძე, თეიმურაზ გაბუნია. სტდენტებმა საინტერესოდ და ორიგინალურად წარმოადგინეს თავიანთი დამოკიდებულება ტაძრის მიმართ. ყველა მონაწილეს გადაეცა წამახალისებელი პრიზები.

ავტორი: თეიმურაზ გაბუნია

ავტორი: გიორგი ჩაჩანიძე



***არქიტექტურული კონკურსი სტუდენტებისთვის***
***თემა:"ზემო ნიქოზის ხელოვნების სახლი"***

*2019 სასწავლო წელს ცხადდება კონკურსი „ზემო ნიქოზის ხელოვნების სახლის პროექტი". ზემო ნიქოზი მდებარეობს შიდა ქართლში, ცხინვალის სამხრეთით 1 კმ–ში (საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე). აქ უძველესი საეპისკოპოსო მე–5 საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ არის დაარსებული. სოფელში დგას ეპარქიის საკათედრო ტაძარი „ღვთაება" ამაღლების სახელობისა (მე–V საუკუნე), იქვეა ეპისკოპოსის სასახლე (IX-XI ს.)*

2008 წლის ომის მერე, იაპონიის საელჩოსა და ამერიკული ორგანიზაცია "საქართველოს ამერიკელი მეგობრები"-ის დახმარებით, მონასტერთან დაარსდა ნიქოზის წმ. ალექსანდე ოქროპირიძის ხელოვნების სკოლა.

ნიქოზში 2011 წლიდან დაწყებული ყოველწლიურად იმართება, ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი". წლიდან წლამდე ეს ფესტივალი უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

ომის შედეგად, ნგრევის და გაპარტახების საპირისპიროდ ზემო ნიქოზში უნდათ ხელოვნების სახლის აშენება, რომლისთვისაც განკუთვნილია წმ. ალექსანდე ოქროპირიძის ხელოვნების სკოლის გვერდითა ტერიტორია (ამჟამად ეს ტერიტორიები გაერთიანებულია).

ტერიტორია - 20 X 25 მ, დარბაზი 180 -250 კაცზე;ჰოლი;WC-ები;ბუფეტი; საგრიმიორო ორი ოტახი 10–10 $მ^2$;რეკვიზიტების ოთახი (შესაძლოა სარდაფი?) 20-25 $მ^2$;კინო-საპროექციო 10-15 $მ^2$;დეკორაციებისთვის სივრცე;ზემოთ შესაძლოა სამხატვრო სახელოსნო, აივანი და **საათი**
სასურველია სკოლასთან ჰქონდეს კავშირი(I სართულიდან)

P.S. სასურველია იყოს ნაშენი რიყის ქვითა და აგურით, გათვალისწინებული ნიქოზის ორიგინალური სამრეკლოს ფორმები;

პროექტის შესრულება რეკომენდირებულია მე–3, 4 კურსის სტუდენტებისთვის. მსურველებს შეუძლიათ გამოყენონ საკურსო დავალების შესასრულებლად საგანში: „არქიტექტურული პროექტი" და „საბაკალავრო პროეტი (არქიტექტურა)"

**პროექტის ჩაბარების ვადები: 2019 წლის 1 ივლისი არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის დეპარტამენტში.**







კრეათონი - ფიროსმანი ციფრულ

სივრცეში/Creathon – Pirosmani in the

digital space

20.04. 2019 ნიკო ფიროსმანის შემოქმდებაზე დაფუძნებული პირველი შემეცნებითი, შემოქმედებითი კონკურსი სტუდენტებისათვის / The first cognitive, creative contest for students based on Niko Pirosmani's art

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSc6cvYiOOV9qc7CjeDWQebpoRu7Cy2o8sKsbb9s8VUpZ-L1Iw/viewform

*ვორქშოფი: ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფცია 22 აპრილი 2019 წ.*

ვორქშოფი თემაზე: ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფცია;

გაინტერესებთ, როგორ შეიქმნა ეს შენობა და რა ისტორია იქმნებოდა მასში?

გსურთ გააცოცხლოთ ეს ისტორიები და წარმოუდგინოთ სხვებს?

ხართ არქიტექტურის, დიზაინის, ციფრული კომუნიკაციების ან სამუზეუმო საქმის სტუდენტი ან კურსდამთავრებული?

მაშინ გიწვევთ, ახლოდან გაიცნოთ თბილისის გულში მდებარე, მისი ერთ-ერთი გამორჩეული არქიტექტურული ძეგლი – ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი და თავად შექმნათ მისი ისტორიების ამსახველი საინტერპრეტაციო ცენტრის კონცეფცია!

რა:

უორკშოპი: დარეგისტრირდი 6 მაისამდე და მიიღე მონაწილეობა ერთდღიან უორკშოპში, სადაც დეტალურად გაეცნობი შენობის ისტორიასა და თანამედროვე გამოწვევებს, გაიგებ მეტს საინტერპრეტაციო ცენტრების შესახებ და სხვა დაინტერესებულ ახალგაზრდებთან ერთად ან ინდივიდუალურად დაამუშავებ ჭადრაკის სასახლისა და ალპური კლუბის სამუზეუმო კონცეფციას.
როდის? უოკრშოპი ჩატარდება 11 მაისს 11:00-17:00 საათზე, დასრულებული კონცეფციების გამოგზავნის ბოლო ვადაა 16 მაისი.

გამოფენა: თქვენ მიერ შექმნილი კონცეფციები გამოიფინება მუზეუმის საერთაშორისო დღის ფარგლებში მოწყობილ გამოფენაზე, 18 მაისის ღამეს სასახლის მიმდებარედ.
როდის? 18 მაისი – მუზეუმების საერთაშორისო დღე

თბილისის ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბის შენობა, რომლის ავტორები ლადო ალექსი-მესხიშვილი და გერმანე ღუდუშაური არიან, 1973 წელს გაიხსნა ვერის ბაღში და გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის არქიტექტურის ერთ-ერთ გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს. იგი მიეძღვნა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონს, ჭადრაკის დიდოსტატს, ნონა გაფრინდაშვილს და მასში აღიზარდა წარმატებულ მოჭადრაკეთა მრავალი თაობა. სასახლის 500 კაციან დარბაზს არაერთი მნიშვნელოვანი ტურნირისთვის უმასპინძლია.

ცოტამ თუ იცის, რომ ამავე შენობაში, აგებიდან დღემდე ბინადროს საქართველოს ალპური კლუბი და ალპინიზმის მუზეუმი.

დღეს ეს შენობა გამოწვევების წინაშე დგას. ისევე როგორც გვიანი საბჭოთა მოდერნიზმის ბევრი სხვა ნაგებობა საქართველოში, თბილისის ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბიც ნაკლებდაფასებულია, ფართო საზოგადოებისთვის უცნობია მისი არქიტექტურული, მხატვრული, მემორიალური თუ ფუნქციური ღირებულებების შესახებ.

ლურჯი ფარის საქართველოს ეროვნული კომიტეტი გეთის ფონდის, Keeping It Modern ინიციატივის ფარგლებში დაფინანსებული პროექტის „მოდერნისტული არქიტექტურის კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში“ განხორციელებით, ცდილობს გაზარდოს შენობის ცნობადობა, რათა იგი მეტად იქნეს დაფასებული როგორც ქალაქის ბინადართა, ისე მის სტუმართა და მესვეურთა მიერ.

პროექტის ერთ-ერთი მთავარი შედეგი იქნება მისი კონსერვაციის გეგმა. უორკშოპის ფარგლებში დამუშავებული სამუზეუმო კონცეფციებიდან შესაძლოა საუკეთესო ინტეგრირდეს კონსერვაციის გეგმის დოკუმენტში.

საინტერპრეტაციო ცენტრი:

საინტერპრეტაციო ცენტრები იქმნება კულტურული თუ ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლებთან და ხშირად ინტეგრირებულია დამთვარიელებელთა ცენტრებში. მათი მიზანია, დამთვარიელებელს წარუდგინოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია ძეგლის შესახებ, მოყვეს მისი ისტორიისა და ღირებულებების შესახებ, განმარტოს და ფართო საზოგადოებისათვის გასაგებად, თანამედროვე მულტიმედიის დახმარებით წარადგინოს მასზე მიმდინარე კვლევითი, საკონსერვაციო თუ სხვა სახის სამუშაოების შედეგები და წარმოაჩინოს მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

ტრადიციული მუზეუმისგან განსხვავებით, საინტერპრეტაციო ცენტრების მიზანი არ არის არტეფაქტების შეგროვება, კონსერვაცია და კვლევა. ისინი იქმნება მემკვიდრეობის მნიშვნელოვნების გადმოსაცემად, განათლებისა და ფართო საზოგადოების გათვიცნობიერების მიზნით.

საინტერპრეტაციო ცენტრები იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებებს მემკვიდრეობის სრულფასოვანი შემეცნებისთვის. ისინი ცდილობენ დამთვარიელებელში მოახდინონ აღმოჩენის პროცესის სტიმულირება და მემკვიდრეობასთან მათი ინტელეტქუალური და ემოციური კავშირის დამყარება. მათში გამოიყენებენ ინტერაქტიულ, სცენოგრაფიულ გამოფენებსა და მულტიმედია პროგრამებს.

http://blueshield.ge/?p=7720&lang=ka

**კონკურსი ახალგაზრდა არქიტექტორებისთვის - “თბილისური ეზოების” პროექტი**

22 აპრილი 2019კომპანია “სფერო ჰოლდინგი” დაარსების დღიდან საქართველოს ბაზარზე წარმატებით მოღვაწეობს. “სფერო ჰოლდინგი” არაერთი უნიკალური და მასშტაბური პროექტის ავტორია სამშენებლო-დეველოპერული მიმართულებით, მათ შორისაა ორი ეროვნული მოცულობითი და მნიშვნელოვანი პროექტი. ერთი მათგანი საქართველოს მასშტაბით დაუსრულებელ მშენებლობებს ე.წ ბეტონის ჩონჩხებს ეხება და მეორე თბილისის ძველი და ისტორიულად

მნიშვნელოვანი უბნის “ძველი თბილისის” საუკუნოვანი სახის შენარჩუნებას, რომელიც ძველი თბილისის ყველა უბანს მოიცავს, რის გამოც საზოგადოებაში ის “საუკუნის პროექტად” არის ცნობილი.

“თბილისური ეზოების” პროექტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს პატრონაჟით ხორციელდება, რაც უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად გულისხმობს იმას, რომ “თბილისური ეზოების” პროექტის ფარგლებში ნებისმიერი დაგეგმვითი სამუშაო უნდა შეთანხმებულ იქნას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან. განსახორციელებელი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ძველი თბილისის კულტურული განვითარების გეგმას.
“თბილისური ეზოების” მასშტაბურობიდან გამომდინარე, დაგეგმილია პროექტის ეტაპობრივი განხორციელება. საწყის ეტაპზე ძველ თბილისში მდებარე სრულად დანგრეული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მათ ადგილას ახალი შენობების მშენებლობაა დაგეგმილი ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი სტილისტიკის და არქიტექტორული ნორმების დაცვით.
**კომპანია “სფერო ჰოლდინგმა” გადაწყვიტა შანსი მისცეს ნიჭიერ ახალგაზრდა და მოტივირებულ არქიტექტორებს თავიანთი ნიჭის გამოსავლენად. კომპანია აცხადებს არქიტექტორების ღია კონკურსს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია გამოაგზავნოთ ესკიზი “თბილისური ეზოების” თემატიკაზე. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად გამოვავლენთ გამარჯვებულ პროექტებს და მათ ავტორ-არქიტექტორებთან ერთად დავიწყებთ ამ მასშტაბურ პროექტზე მუშაობას.**
**გამოსაგზავნი მეილი: sferodevelopment@sferoholding.ge**

**კნაუფის ტექნოლოგიების სასწავლო ცენტრში დაიწყო სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლების და სტუდენტების ტრენინგების სერია.**
2019 წლის 15, 17, 19, 22 აპრილს ტრენინგი პროგრამით „კნაუფის შიდა ტიხრები და ჭერის სისტემები“ გაიარეს პროფესორებმა თ. ჩიგოგიძემ, ნ. ხაბეიშვილმა, ასისტ. პროფ. ა. დიღმელაშვილმა, მ. ხაბეიშვილმა და ფაკულტეტის სტუდენტებმა. მათ გადაეცათ სასწავლო ცენტრის სერტიფიკატები.

2019 წლის 16 აპრილს შერატონ გრანტ თბილისი მეტეხი პალასში ჩატარებულ სემინარს „მშრალი მშენებლობის თანამედროვე სისიტემები, აკუსტიკური და თბოსაიზოლაციო მასალები“ დაესწრნენ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის წარმომადგენლები: პროფესორები თ. ჩიგოგიძე, ნ. ხაბეიშვილი, ასისტ. პროფ. მ. ხაბეიშვილი და სტუდენტთა ჯგუფი. მოისმინეს თურქი მომხსენებლის სედატ კილიჩის პრეზენტაცია „მინერალ პლიუსი - ახალი ერა ცეცხლმედეგი საიზოლაციო მასალების გამოყენებაში, აკუსტიკური და სითბური იზოლაცია - შიდა ტიხრები და ვენტილირებადი ფასადი“. ასევე მარკ ზიტცერის პრეზენტაცია თემაზე: „თანამედროვე მოსაპირკეთებელი მასალები კნაუფის AMF ჭერის და კედლის სისტემებში“.

**კნაუფის სასწავლო ცენტრში 15-დან 25 აპრილის ჩათვლით ტრენინგი გაიარა 4 პედაგოგმა და 82 სტუდენტმა.**

III საპრიზო ადგილი. არქიტექტურის, სამოქალაქო ინჟინერიის და დიზაინის სკოლების V საერთაშორისო ფესტივალი, ქ. რომი. პოეტიკის სტუდიის მაგისტრი ნატალი ბეზარაშვილი. თემა: ფსიქიატრიული კლინიკა.

“გემში ზღვას მინდობილი რენესანსის შეშლილი ადამიანი … ისეთი რამის ტყვეა, რაც ყველაზე მეტად არის თავისუფლებასთან წილნაყარი, ყველაზე გახსნილი მარშუტის ტყვეა … იგია მოგზაური par excellence, გზის მძევალი“ -მიშელ ფუკო.

სიგიჟის სივრცე, გზა და ლაბირინთი - პროექტის მთავარი კონცეპტებია, სადაც დაპროექტებას ამბის და სივრცის თხზვა ანაცვლებს.

**შეხვედრა INDEX DESIGN CENTER-ში და მასტერ-კლასი სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის.**

2019 წლის 22 აპრილს ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები ეწვივნენ Linea Italia შოურუმს, რომელიც გთავაზობთ უახლოეს ტრენდებსა და მოდურ ტენდენციებს იტალიის საუკეთესო მწარმოებლებისგან.

ფირმის წარმომადგენლებმა დეტალურად აღწერეს პრემიუმ ხარისხის იტალიური მოსაპირკეთებელი მასალების უპირატესობანი, დიზაენერული ავეჯი და განათების ელემენტები.

ნიკო ფიროსმანის შემოქმდებაზე დაფუძნებული პირველი შემეცნებითი, შემოქმედებითი კონკურსი სტუდენტებისათვის / The first cognitive, creative contest for students based on Niko Pirosmani's art

2019 წლის 24 აპრილს სტუ–ს ფაბლაბში ჩატარდა კრეატონი „ფიროსმანი ციფრულ სივრცეში“ პრეზენტაცია. კრეატონი  პირველი შემოქმედებით კონკურსია სტუდენტებისთვი, რომელიც გაიმართება ტექნოპარკში და გაგრძელდება 48 საათი.




დარეგისტრირდით აქ:

https://docs.google.com/forms/d/e/1FAIpQLSc6cvYiOOV9qc7CjeDWQebpoRu7Cy2o8sKsbb9s8VUpZ-L1Iw/viewform

ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა გუნდი ფიროსმანისადმი მიძღვნილი კრეათონის გამარჯვებული გახდა



დაწვრილებით ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულებზე:

**1. ვრცელი მასალა სააგენტო PROGRESSNEWS-ში - ინტერვიუ მაია ბენიასთან**
http://progressnews.ge/teqnikuri-universitetis-studentebi-kreathoni-phirosmani-tsiphrul-sivrtseshi-gamarjvebulebi-arian/?fbclid=IwAR1CBYYRSMXJqxRi2IIQebpL0hn7hSRcSAANbP2ezx4u7D0pDThf0e8HqFk

**2. ტელეკომპანია რუსთავი 2 - "დილა მშვიდობისა, საქართველო"**
https://www.youtube.com/watch?v=3diW17XaaIg&feature=youtu.be&fbclid=IwAR3gtAi8XHbAz4kUmSXCCSze_4xVv5uSJd-tbHNN5YzaC9K8nxmONNERdRU

**INTERPRESSNEWS**
https://www.interpressnews.ge/ka/article/545389-teknikuri-universitetis-studentta-gundi-pirosmanisadmi-mizgvnili-kreatonis-gamarjvebuli-gaxda/

**PIA**
https://pia.ge/post/260391-teqnikuri-universitetis-studentta-gundi-firosmanisadmi-mizrvnili-kreatonis-gamarjvebuli-gaxda

**KVIRA**
http://kvira.ge/468101

**GHN**
http://ghn.ge/news/225742-teknikuri-universitetis-studentta-gundi-firosmanisadmi-midzghvnili-kreatonis-gamarjvebuli-gakhda

**DIGEST**

https://digest.pia.ge/post/260389-teqnikuri-universitetis-studentta-gundi-firosmanisadmi-mizrvnili-kreatonis-gamarjvebuli-gaxda

**გამარჯვებული გუნდი:** სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტები თორნიკე დუნდუა (კაპიტანი), ნიკა კალანდარიშვილი, მათე კვირკვია და დავით დოლიკაშვილი სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი.

ფიროსმანის შემოქმედების თემატიკაზე შექმნილი გუნდური გრაფიკული ვერსიებში სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა სტუ-ის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტი თეო გეგეშიძე და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ანი ხვედელიძემ. მათ ერთობლივად წარმოადგინეს თვიანთი ნამუშევარი.

**კრეატონი „ფიროსმანი ციფრულ სივრცეში“**

**2019 წლის 8 მაისი. სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტის თეო გეგეშიძის და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტის ანი ხვედელიძის ერთობლივი ნამუშევარი - ფიროსმანის გრაფიკული ვერსია.**



The student presented logos and design for t-shirts, stickers and invitations.

The authors of special and best ideas and tasks were awarded on May 6.

Ani Khvedelidze and Teo Gegeshidze, the members of one of the winning teams in graphic design, noted that they are thrilled to have been able to contribute to this project.

'Taking part in this project was very interesting for me because Pirosmani is an individual, whose art should be more widely shared. Popularizing Pirosmani among the younger generation is very important. Perceiving Pirosmani in Digital Space was unusual and attractive for me,' said artist Ani Khvedelidze, member of one of the winning teams.

The project was organized by the Georgian National Museum, Georgian Innovation and Technology Agency, Laboratory of Technology and Training Center

#messengermagazine

სტუ-ს ფაბ ლაბმა სპეციალურად **ნიკო ფილოსმანის შემოქმედებაზე დაფუძნებული პირველი შემეცნებითი, შემოქმედებითი კონკურსისთვის** დააწესა ნომინაცია " სტუ ფაბ გუნდთან ერთად" და დიპლომით დააჯილდოვა სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის მე-2 კურსის სტუდენტი ნიკიტა მჭედლიშვილი. მას შეძლება წარმოადგინოს საკუთარი იდეა და ფაბ გუნდი განახორციელებიებს.

**პიტერ სკენსვედის და ალექს დე ჟირარდიეს ლექცია: „ქუჩის ხელოვნება“**

2019 წლის 30 აპრილს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში 14 საათზე ჩატარდა ფრანგი არქიტექტორის და მხატვრის ალექს დე ჟირარდიეს და დანიელი მხატვრის პიტერ სკენსვედის ლექცია: „ქუჩის ხელოვნება“.

ლექციის ორგანიზატორები არიან საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაცია და სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი.

ქუჩის ხელოვნება საკმაოდ პოპულარულია და დიდ ინტერესს იწვევს საზოგადოების მხრიდან.

მომხსენებლებმა ისაუბრეს ქუჩის ხელოვნებაზე და მის მნიშვნელობაზე ურბანულ სივრცეში. მათ წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები, რომელიც შესრულებული აქვთ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისში, მესტიაში და სიღნაღში.

**Travelling Conference SCFuture - "South Caucasus Urban Futures - smart, systemic, resource efficient" in Tbilisi (May 9 to 12, 2019) / Yerevan (May 14 to 17, 2019).**

Partners of SCFuture are:

- TH Köln (Germany),
- TU Georgia,(GTU)
- Ilia State University (Georgia),
- National University of Architecture and Construction of Armenia,
- Tbilisi City Hall Architecture Service Design Division,
- Architecture week LLT (Armenia)
- ICON-INSTITUT Engineering GmbH (Germany).

Conference language is English.

SCFuture is funded by the German Federal Ministry of Education and Research (BMBF).

**Technology Arts Sciences**

**TH Köln** University of Applied Sciences

Faculty of Architecture / **CIAD** Institute of Architectural Design

**Program:**

**სამოგზაურო კონფერენცია - Travelling Conference SCFuture - "South Caucasus Urban Futures -smart, systemic, resource efficient" in Tbilisi (May 9 to 12, 2019) / Yerevan (May 14 to 17, 2019).**

**2019 წლის 9 მაისიდან 12 მაისი ჩათვლით** თბილისში შედგა საერთაშორისო პროექტის Travel conferences სამუშაო შეხვედრა კიოლნის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის, სომხეთის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქ.თბილისის მერიის არქიტექტურული სამსახურის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მონაწილეობით.

"სამოგზაური კონფერენციაზე" სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მიერ მომზადდა ე.წ. „ფოტო ხმა" - პროექტი „ Sustainable City-Waste Management System, Municipal Card, Mobile Application"; ეს არის ერთობლივი პროექტი რომელზეც მუსაობდა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები: ნინო იმნაძე, ნინო ჩაჩავა, მარიკა ფოჩხუა; პირველი კურსის დოქტორანტები: გიორგი

გაბუნია, ოთარ მჭედლიშვილი, მე-4 კულრსის ბაკალავრები: ანდრო ქორთუა და ლევან ძეგველშვილი;

ფოტო ხმის საბოლოო სახე:

მოხსენების ტექსტი:

## INTRODUCTION

To achieve sustainable urban development, separation of municipal waste is one of the most important directions. This reduces negative impact on the environment in many ways. Besides reducing municipal waste in the landfill, re-usable materials are given a new life, bio gas is generated, service interval of large garbage carrier vehicles and public consciousness are increased.

## PROBLEM

"Assessment of Environmental Education in Georgia" has proved, that the most important issue is low level of environmental protection awareness among society, which requires a long-term strategic plan and complex approaches.

According to "Report on Municipal Solid Waste Management in Georgia" some of the major problems related to municipal solid waste management are:

Legislative base;
Local municipal solid waste management plan;
Obsolete equipment;
Methods and technologies of collection of municipal solid waste;
Statistical inventory of solid municipal waste;
Segregation / separation of solid domestic waste.

Above mentioned issues are considered to be part of the whole system that needs to be elaborated separately, but at the same time harmonically addressing the main goal. Hence, following concept is answer to specific challenges that may lead to changing matters in this system in a more sustainable way.

Yes, it is good that in 2019 Tbilisi City Hall has already started installing separated garbage bins, but as surveys has identified, a large part of the population rarely uses them. Given reality motivated us as an urbanists and architects to find our ways of creating more sustainable future.

## SOLUTION

As it is necessary to concentrate society around given issue as more as possible and to engage them in the process of municipal waste separation, we created three interconnected projects: "Waste Management System"; "Municipal Card" and "Mobile Application" under one umbrella: "Sustainable City".

### Sustainable City - Waste Management System

Waste separated bins can be placed on the standard 5 on 2.5-meter parking lots and will have reservoirs for plastic, glass, aluminum, paper, batteries, pet waste and an ash-tray and will be equipped with smart and energy efficient technologies:

- Solar panel and a battery will make them self-sufficient;
- Underground big reservoirs will increase interval of their replacement;
- Laser beam-controlled mechanism will inform center in case of overfilling or to avoid changing empty reservoirs;
- Multiple operations can be made on a LED display;
- Grass roof should make them look more appealing and will add greenery percentage per-capita;
- Dedicated place for information will educate citizens to lessen damage on environment.

### Sustainable City - Municipal Card

The card gives opportunity to bring together lots of useful municipal services. In the first stage, cardholders will be able to get points by separating and throwing glass, aluminum and paper into smart bins. In near future points can be also accumulated by planting a tree, intensively greening their balconies and terraces, using public transport while having a car and etc.

Cardholder can spend gathered points to pay utility bills, cleaning and illuminating their residential buildings, use them in municipal transport, in various activities arranged by the City Hall and etc.

### Sustainable City - Mobile Application

The application allows user to control its municipal waste and statistics and share its sustainability index on social media, which should become a mark of prestige over time. In the integrated multi-layer map, users can see locations of the trash bins, find municipal transport stops and directions from there, find inclusive urban areas, bicycle roads and many more… The application also includes Participatory Urban Design platform, where users will be able to initiate new ideas for city

governance, evaluate or criticize planned infrastructure projects, create petitions which should increase citizens' active involvement in the process of planning sustainable future.

## CONCLUSIONS

As a result of the use of these complex approaches, city will get a much more sustainable environment, improved quality of life, new jobs, cleaner streets and urban air, less traffic conjunctions and increased public consciousness and responsibility – which are in fact the issues, majority of thematic surveys indicate.

Even though project was done and tailored for local reality, it serves to solve the global problem and therefore, our team believes, that in near future given initiative will be exported and implemented in many cities around the world.

შეხვედრა მოიცავდა თბილისის პრობლემატური უბნების ანალიზს მიკრო, მეზო და მაკრო დონეებზე. კომპლექსური ანალიზის საფუძველზე განხილული იყო ელიავას ბაზრობის არსებული მდგომარეობა, მისი მომავალი განვითარების შესაძლო მიმართულებები, ცენტრალურ სარეკრეაციო სისტემასთან თანხვედრისა და თანამონაწილეობის პოტენციალი.

კონფერენციის მუშაობის ფორმატი:

1. დღე - პოსტერების დათვალიერება და პროექტების პრეზენტაცია. დღის მეორე ნახევარში ვიზიტი საკვლევ ტერიტორიაზე.

მე2 დღე - მუშაობა ჯგუფებში

მე-3 დღე - ელიავას ბაზრობის კომპლექსური ანალიზი

მე-4 დღე - შედეგზე ორიენტირებული სამუშაოს ორგანიზება, მულტიფუნქციური გუნდისა და კავშირების ორგაიზება და ფინანსების მოძიების მიმართულებები, საქართველოში არსებული დონორი ორგანიზაციების წარდგენა.





გარდა ამისა სტუმრებმა დავათვალიერეს საქართველოს ბანკის შენობა, ძველი თბილისის უბნები, შეხვდნენ  თიმ არქიტექტს არქიტექტურული კომპანიის ჯგუფი.

შეხვედრისას დაიგეგმა მომავალი თანამშრომლობის მიმართულებები - გაცვლითი პროგრამები, ერთობლივი ვორქშოპები, საზაფხულო სკოლები და კურიკულუმები.
**სამოგზაურო კონფერენცია გაგრძელდა ერევანში. სადაც მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის დოქტორანტებმა: გიორგი გაბუნიამ და**

ოთარ მჭედლიშვილმა. ერევანში გაიმართა ვორქშოფი თემაზე კულტურული მემკვიდრეობა და მისი თანამედროვე მდგომარეობა: პრობლემები და გამოწვევები. ვორქშოფის დასრულების შემდეგ მათ გადეცათ სერთიფიკატები.

Travelling Conference
SCFuture

"South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient

**Certificate of Participation**

Gabunia, Giorgi participated in the travelling conference "South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient, held from May 9 to 12 in Tbilisi and from May 14 to 17, 2019 in Yerevan.

In both events, he held a poster presentation with the title "Sustainable City – Waste Management System, Municipal Card, Mobile Application".

Yerevan, May 17, 2019

Prof. Jochen Siegemund
Project Manager
Faculty of Architecture, TH Köln

Tatevik Zakaryan
Festival Director
Architecture Week

Travelling Conference
SCFuture

"South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient

**Certificate of Participation**

Mtchedlishvili, Otari participated in the travelling conference "South Caucasus Urban Futures" - Smart, Systemic, Resource Efficient, held from May 9 to 12 in Tbilisi and from May 14 to 17, 2019 in Yerevan.

Yerevan, May 17, 2019

Prof. Jochen Siegemund
Project Manager
Faculty of Architecture, TH Köln

Tatevik Zakaryan
Festival Director
Architecture Week

ქ. ერევანში ჩატარებული ვორქშოფის ამსახველი ფოტო მასალა:

მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სოციალურ ქსელში:
https://www.facebook.com/groups/2140213462727593/

***წიგნი: „შოთა ბოსტანაშვილი. არქიტექტურის პოეტიკა“***

თბილისის 2019 წლის სახელოვნებო ბაზრობისთვის გამოიცა წიგნი "შოთა ბოსტანაშვილი. არქიტექტურის პოეტიკა". წიგნში არწერილია არქიტექტორის ბიოგრაფია, მის ფილოსოფია და მის მიერ დაარსებული სტუდიის ისტორიას.

წიგნში შესულია პროფ. ლინო ბიანკოს სტატია; მხარდამჭერები: ანინა ციმერმანი, ნიკ ბეზემერი, ლალი პერტენავა. წიგნის თანაავტორი და TAF 2019-ზე გამოფენის კურატორი ნინო სეხნიაშვილი. (გალერეა ნექტარი).

**საკონკურსო პროექტი: კომპანია „ეუროფასადის“ შოურუმი**

2019 წლის 11 მაისს, გახოკიძის 2-ში, კომპანია "ეუროფასადის" ახალ შოურუმში სტუდენტური არქიტექტურული კონკურსის შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა. კონკურსია მიზანი იყო კომპანია "ეუროფასადის" ახალი შოურუმის ინტერიერის და ფასადის საუკეთესო პროექტის გამოვლენა.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდებტებმა. მათ მიერ წარმოდგენილი იყო ჯგუფური პროექტები. სულ შემოვიდა ცხრა პროექტი. პროექტები განხილული იყო ჟიურის მიერ, რომლიც წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით:

- სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი ნინო იმნაძე;
- სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ვასილ ქობულია;
- კომპანია „ეუროფასადის" დირექტორი ბესიკ საბაშვილი-ჟიურის თავმჯდომარე;
- კომპანია "ეუროფასადის" ტექნიკური დირექტორი ანდრეი სლაძევსკი;
- თსსა პროფესორი,არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი;

- თსსა პროფესორი ნოდარ ამაშუკელი;
- თსაა პროფესორი გიორგი ჩხაიძე;
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არქიტექტორი – ლაურა ქუმსიაშვილი;
- ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, არქიტექტურის პროგრამის კოორდინატორი ია კუპატაძე.

საკონკურსო პერიოდში სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცათ  მოეფიქრებინათ  და შეესრულებინათ აზომვითი ნახაზის და გეგმის შესაბამისად ინტერიერის და ფასადის რეკონსტრუქციის პროექტი.

ღონისძიებას ესწრებოდა Fundermax”-ის საერთაშორისო გაყიდვების მენეჯერი დანიელ ოლევი.

კონკურსის შედეგები



კონკურსში გაიმარჯვა პროექტმა,რომლის ავტორები სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტთა ჯგუფია:  მარიამ ღვინეფაძე, ანა ნაცვლიშვილი

და ნუცა კიკნაველიძე.



მეორე ადგილისთვის განკუთვნილი პრიზი წილად ერგოთ სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტთა ჯგუფს შემდეგი შემადგენლობით: თეო გეგეშიძე, თინათინ ჯანიაშვილი,ნიკა კალანდარიშვილი, თორნიკე დუნდუა

მესამე ადგილი ჟიურიმ სტუდენტებს ზაალ სიფრაშვილსა და ნიკა ნიქაბაძეს მიაკუთვნა.

„ეუროფასადის სპეციალური პრიზი გიორგი (გეგი) ევსიას და ტატა ზაქარაიას პროექტს *გადაეცა* . შოურუმის მისამართია: ქ.თბილისი, გახოკიძის ქუჩა №2

# სტუდენტური კონკურსი

კომპანია ევროფასადი, ვითარდება და მალე თბილისში, გიბოკოის ქუჩაზე ახალი ოფისითა და შოურუმით წარდგება მომხმარებლის წინაშე.

პროექტის განხორციელებისას კომპანიამ შენობის პროექტირებაში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლის არქიტექტურის დაკულტეტის სტუდენტები წარმოო. ამ ინიციატივის მიზანია გაიზარდოს სტუდენტების წართელობა კომპანიის საქმიანობაში, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისთვის.

კომპანია ევროფასადმა, გამოაცხადა კონკურსი საუკეთესო პროექტის გამოსაფენად და შესაბამისად დანიშნა პრიზები:

პირველ ადგილი - 1500 ლარი
მეორე ადგილი - 1000 ლარი
მესამე ადგილი - 500 ლარი
მეოთხე ადგილი - 500 ლარი - კონკურსის ორგანიზატორის სპეციალური პრიზი.

გათვალისწინებული იქნა, ასევე სპეციალური პრიზი პროექტისთვის, რომელმაც „ფბ“ ვებ-გვერდზე ყველაზე მეტი მონიშნება დაიმსახურა.

კონკურსზე წარდგენილ პროექტები შეაფასა ფირმამ შემდეგი შემადგენლობით:

ბესიკ სამპოფალი - კომპანია ევროფასადის, დირექტორი - ფირმის თავმჯდომარე;
ნინო იმნაძე - სტუდ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, არქიტექტორი;
ვასილ ქობულია - სტუდ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ლექტორი, არქიტექტორი;
ანდრეი სლაძესკი -კომპანია ევროფასადის, ტექნიკური დირექტორი;
მაკრო ჭურდღანი - თსსა პროფესორი, არქიტექტორი
ნოდარ ამაშუკელი - თსსა პროფესორი, არქიტექტორი
გიორგი ჩხაიძე - თსსა პროფესორი, არქიტექტორი
ია კუპატაძე - ილიას უნივერსიტეტის პროფესორი
კონკურსის ფორმის მიერ გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ 2019 წლის 23 მაისს.
სულ შემოვიდა 9 პროექტი და მათ შორის შეირჩა ოთხი საუკეთესო:



მე-3 კურსის სტუდენტის გიორგი ჩაბალუხას ფერწერული ნამუშევრები და არქიტექტურული მოდელები:



**შეხვედრა ფრანგ არქიტექტორთან ფერენტი ფერენტისტან**

2019 წლის 19 მაისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე შედგა შეხვედრა ფრანგ არქიტექტორტან ფერენტი ფერენტისტან. შეხვედრას ესწრებოდნენ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორისო სკოლი პროფესორები. შეხვდრაზე დაიგეგმა ვორქშოფის ჩატარება სტუდენტებთან. ასევე შეირჩა თემა: თბილისის მემკვიდრეობა.

შეხვედრის შემდეგ ფერენტიმ სტუდენტებს წაუკითხა ლექცია თემაზე: თანამედროვე არქიტექტურა და ფოტოხელოვნება

ვორქშოფი: „თბისლისი მემკვიდრეობა“

2019 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც აუდიტორიაში მიმდინარეობდა ვორქშოფი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ფრანგი არქიტექტორი და ფოტოგრაფი ფერენტი ფერენტი. ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებმა. 19 მაისს გაიმართა მორიგი შეხვედრა, რომლის დროსაც ფერენტი ფერენტიმ სტუდენტებს ჩაუტარა მასტერკლასი თუ როგორ შეიძლება ფოტოს საშუალებით გადმოსცე არქიტექტურული ობიექტის არსი. ასევე განიხილა სტუდენტების მიერ შესრულებული ნამუშევრები.

სტუდენტთა ნამუშევრების ფოტო გამოფენა: “თბილისი მემკვიდრეობა“

2019 წლის 23 მაისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში 18 საათზე გაიხსნა სტუდენტთა ფოტო ნამუშევრების გამოფენა თემაზე: „თბილისის მემკვიდრება“. გამოფენა გაგრძელდება 2019 წლის 7 ივნისამდე.



გამოფენაზე წარმოდგენილი არის სტუდენტთა ნამუშევრები, რომელიც შესრულდა ვორქშოფის მიმდინარეობისას ფრანგი არქიტექტორის ფერენტი ფერენტის ხელმძღვანელობით.

ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის და დიზაინის ფაკულტეტის და დიზაინის საერთაშორისო სკოლის სტუდენტებმა. ხელმძღვანელი ფრანგი არქიტექტორი ფერენტი ფერენტი.

თემა: „თბილისის მემკვიდრეობა“/ “Haritage of Tbilisi”

მზადება გამოფენისთვის:

გამოფენის გახსნას. გამოფენა გახსნა ბატონმა გოჩა ჩოგოვაძემ. სიტყვით გამოვიდნენ არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი ნინო იმნაძე, პროფესორი გიორგი სალუქვაძე, დიზაინის საერთაშორისო სკოლის დეკანი ნიკოლოზ შავიშვილი, პროფესორი ოთარ შონია, ფრანგი არქიტექტორი ფერენტი ფერენტი და სტუდენტები

2019 წლის 7 ივნისს არქიტექტურის ფაკულტეტის მოწვევით საერთაშორისო კონფერენციის „არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“ ფარგლებში საქართველოში ჩამოდის არქიტექტურის კრიტიკოსი, ცნობილი ჟურნალისტი, არქიტექტორი ვლადიმერ ბელოგოლოვსკი.

ის არის კონტინენტშორისი კურატორული პროექტის დამფუძნებელი, რომელიც კონცენტრირებულია არქიტექტურული გამოფენების ორგანიზაციაზე და დიზაინზე. მას გამოშვებული აქვს ორასზე მეტი სტატია და ხუთი წიგნი.

ვლადიმერ ბელოგოლოვსკი თბილისში ჩაატარებს წიგნის „ნიუ-იორკი: არქიტექტურული გიდი: „1999-2020 პერიოდის ნიუ იორკის 100 იკონიკური შენობის კრიტიკული ექსკურსი“ პრეზენტაციასა და საჯარო ლექციას თემაზე - „ძირითადი ეტაპები და ტენდენციები თანამედროვე არქიტექტურაში.“

საჯარო ლექცია ჩატარდება ტექნოპარკის საკონფერენციო სივრცეში.

მის: TECH PARK GEORGIA, ინოვაციის ქ. 7, ოქროყანა

საათი - 18:15 - 20:30

On June 7, 2019, within the framework of international conference "Modern Architecture and Urban Construction Problems" by the Faculty of Architecture, Urban Planning and Design the well known architectural criticist, the founder of the Continental Curator project and architect Vladimir Belloglovsky will conduct a public lecture - "Milestones and Tendencies in Contemporary Architecture" and present his new book - New York: Architectural Guide: A Critic's Guide to 100 Iconic Buildings in New York from 1999 to 2020.

Public lecture and book presentation will be held in the conference hall of the techno Park Georgia, Tbilisi.
Address: TECH PARK GEORGIA, Innovation Street. 7, Okrokana
Time: 18:15 - 20:30

**ვლადიმირ ბელოგოლოვსკი**

ვლადიმირ ბელოგოლოვსკი არის დამფუძვნებელი ნიუ-იორკის ბაზაზე შექმნილი **ინტერკონტინენტალური კურატორული პროექტის**, რომელიც ფოკუსირდება არქიტექტურული გამოფენების ორგანიზებაზე, კურატორობასა და დიზაინზე, მსოფლიოს მასშტაბით. იგი აღიზარდა, როგორც არქიტექტორი "Cooper Union"-ში, ავტორია ორასამდე სტატიისა და ხუთი წიგნის: Conversations with Architects (DOM, 2015), Harry Seidler: LIFEWORK (Rizzoli, 2014), Felix Novikov (TATLIN, 2009; DOM, 2013), Soviet Modernism: 1955-1985 (TATLIN, 2010), და Green House (TATLIN, 2009). მისი ინტერვიუ საბჭოთა არქიტექტორ ფელიქს ნოვიკოვთან გამოქვეყნდა „საბჭოთა მოდერნიზმის" კატალოგში (AzW, 2012) და მისი ესე „რუსეთი, დაკარგული თანამედროვეობის ძიებაში", როგორც საწყისი თავი „*Atlas: Europe*"-ში, რედაქტორი ლუის ფერნანდეზ-გალიანო (Fundacion BBVA, 2013). მისი სტატია ნიუ-იორკ სითის შესახებ შეტანილია დიდ რუსულ ენციკლოპედიაში (Vol. 23, 2013). ბელოგოლოვსკი არის ამერიკელი კორესპონდენტი რუსული არქიტექტურული ჟურნალისა „*TATLIN*" და წევრ-კორესპონდენტი საერთაშორისო არქიტექტურული აკადემიის, მოსკოვის ფილიალი, ევრაზია (IAAM). კურატორობდა რუსულ პავილიონს ვენეციის მეთერთმეტე ბიენალეზე (2008); ასევე ხელმძღვანელობდა შემდეგ პროექტებს: რეტროსპექტივა ანჯელ ფერნანდეზ ალბას ნამუშევრები, სამეფო ბოტანიკური ბაღი მადრიდში, ესპანეთი (2009); „მწვანე სახლი"- მანეჟის ცენტრალური საგამოფენო დარბაზი მოსკოვში, და ამერიკული ტური *Colombia: Transformed.* მისი გამოფენა *Harry Seidler: Painting Toward Architecture* ტარდება მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას 2012 წლიდან; ჩვენებები ჩატარდა ევროპის, ავსტრალიის, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის მრავალ მუზეუმსა და უნივერსიტეტში. ჩატარებული აქვს ლექციები ნიუ-იორკის არქიტექტურულ ცენტრში, კოლუმბიის უნივერსიტეტში, ვირჯინიის უნივერსიტეტში,ჰონკ-კონგის უნივერსიტეტში, სიდნეის ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტში, შანხაის ტონჯის უნივერსიტეტსა და მოსკოვის შჩუშევის სახელობის არქიტექტურის მუზეუმში, და ასევე არგენტინის, ავსტრალიის, ავსტრიის, აზერბაიჯანის, ბრაზილიის, ბულგარეთის, კანადის, ჩინეთის, ესტონეთის, ჰონგ-კონგის, იტალიის, ლატვიის, მალაიზიის, ახალი ზელანდიის, რუსეთის, ესპანეთის, ტაილანდის, თურქეთისა და ა.შ.შ-ის სხვადასხვა უნივერსიტეტებში, მუზეუმებსა და არქიტექტურის ცენტრებში.

**ლექციები**

ვლადიმირ ბელოგოლოვსკის ჩატარებული აქვს ლექციები ისეთ მრავალფეროვან საკითხებზე, როგორებიცაა ესპანეთის, რუსეთისა და ამერიკის თანამედროვე არქიტექტურა. კითხულობს ლექციებს მდგრადი არიტექტურული პროექტების, რომლებიც ასევე წარმოდგენილია მის წიგნში GreenHouse, და მეოცე საუკუნის საბჭოთა არქიტექტურის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და არქიტექტურულ ცენტრებში - ნიუ-იორკის (ა.შ.შ), რიგის (ლატვია), მადრიდის (ესპანეთი), მოსკოვის (რუსეთი), ჰონგ კონგის, შანხაის (შანხაის), სიდნეის, მელბოურნის, ადელაიდის (აუსტრალია), ოკლენდისა და უელინგტონის (ახალი ზელანდია) ჩათვლით. რამდენიმე სიტყვით ამ ლექციების შესახებ:

**საბჭოთა მოდერნიზმი I** - ლექცია დაფუძვნებულია წიგნზე - *Soviet Modernism: 1955-1985,* რომელიც დაწერა ვლადიმირ ბელოგოვსკიმ, საბჭოთა არქიტექტორ ფელიქს ნოვიკოვთან თანაავტორობით. წიგნის მიზანია დაამსხვრიოს მითი იმის შესახებ თითქოს საბჭოთა მოდერნისტული არქიტექტურა ქმნიდა ექსკლუზიურად იაფფასიან მასიურად წარმოებულ პანელურ სახლებს. წიგნი წარმოაჩენს 100 შენობის ანთოლოგიას- ძალიან ექსპრესიულ და ელეგანტურ გამონაკლისებს. ეს ლექცია მოიცავს 25 პროექტს, მათ შორისაა: მოსკოვის უნივერსიტეტი, ოსტანკინოს ტელევიზიის ანძა, კალინინის პროსპექტის კომპლექსი, სასტუმრო ინტურისტი მოსკოვში,სანატორიუმი „დრუჟბა"იალტაში, რაზდანის სტადიონი ერევანში, ლენინის მუზეუმი ტაშკენტში და ა.შ. ჩამონათვალში შესულია საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობა თბილისში (ყოფილი საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა) არქ. გიორგი ჩახავა. ერთერთი გამორჩეული შენობა სსრკ-ში, რომელიც

ასოცირდება მრავალდონიან საავტომობილო გზების კვეთასთან. ნაგებობა დაკავშირებულია საბჭოთა კონსტრუქტივიზმისა და იაპონური მეტაბოლიზმის არქიტექტურულ ტენდენციებთან.
ბელოგოლოვსკის თქმით საბჭოთა არქიტექტურამ შექმნა სამი ძირითადი პერიოდი: კოსტრუქტივიზმი (1920-32), არქიტექტორები: ვ.შუხოვი, ა.დუშკინი, ს.სერაფიმოვი, ნ.ლადოვსკი, ი.გოლოსოვი და კ.მელნიკოვი. მეორე პერიოდი ცნობილია არქიტექტურით სოციალ-რეალიზმის სტილში. (1932-55). ხოლო მესამე პერიოდმა საბჭოთა მოდერნიზმისა გასტანა 30 წელს. (1955-85). ბელოგოლოვსკი ლექციაზე საბჭოთა მოდერნიზმის პარალელურად საუბრობს ეპოქის პოლიტიკურ გარემოზე, სტალინისა და ხრუსჩოვის ეპოქაზე, ამერიკულ ცათამბჯენებზე, რომელიც ერთგვარ მაგალითად იქცა სტალინური არქიტექტურისა, ხრუსჩოვის საცხოვრებელ კომპლექსებზე, ინდუსტრიულ განაშენიანებასა და 60-იანი წლების „ტიპიურ ბედნიერებაზე“.
ლექციის მიზანია გაგვაცნოს საბჭოთა არქიტექტურა, რომელსაც კონკრეტული ემოციური კავშირი აქვს, როგორც თანამედროვე სამყაროსთან, ისე 1920-იანი წლების საბჭოთა ავანგარდთან. ბელოგოლოვსკის აზრით, ამ არქიტექტურას ყურადრებასთან და პატივისცემასთან ერთად დაცვა და მოფრთხილება სჭირდება რუსული ხელისუფლებისა და საერთაშორისო ერთობის მხრიდან.
**საბჭოთა მოდერნიზმი II** – Soviet modernism: from generic to the iconic
მოცემულ ლექციაში აღწერილია საბჭოთა არქიტექტურის გამორჩეული შენობები, ხრუსჩოვის პერიოდის არქიტექტურა და სამოციანი წლების ფენომენი. ამასთანავე დასმულია საინტერესო საკითხები - რამდენად სახასიათო დღესდღეობით ეს შენობები და რამდენად აღიქმება საბჭოთა მმართველობის ხელწერა ამ შენობებზე; რა პრობლემები შეუქმნა მაშინდელ არქიტექტურას ხრუსჩოვის დროს აგებულმა საცხოვრებელმა აპარტემენტებმა, რომლებმაც მთელი იმპერიის მასშტაბით მოიკიდა ფეხი.
ლექციაში აღწერილია გამორჩეული, სახასიათო არქიტექტურული ნამუშევრები, მათი შექმნის ისტორია და ასოციაციები, ფორმები და ბიოფორმები, რის საფუძველზე შეიქმნა და რა რეაქცია მოჰყვა ამ შენობებს მმართველი ლიდერებისა და ხალხის მხრიდან, და რამდენად მიესადაგება ეს რეაქცია ჩვენს დღევანდელ დამოკიდებულებას ამ არქიტექტურისადმი. საუბარია შემდეგ შენობებზე: პიონერთა სასახლე მოსკოვში, 1962; ხელოვნების სასახლე ტაშკენტში, 1965; საბჭოთა პავილიონი მონტრეალში, ექსპო 67-ზე; ოსტანკინოს ტელეანძა, 1967; საავტომობილო გზების სამინისტროს შენობა თბილისში 1977; სანატორიუმი „დრუჟბა“ იალტაში, 1985; და ა.შ. ყველა ამ ნამუშევართან ერთად საუბარია ფორმებსა და ასოციაციებზე, რაც მათ განსაკუთრებით სახასიათოს ქმნის.
**ესპანური არქიტექტურა -** არქიტექტურა ფურცლის გარეშე. ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდა ესპანელ არქიტექტორებზე. ლექცია დაფუძვნებულია ვენეციის X არქიტექტურულ ბიენალეზე წარმოდგენილ ესპანურ საგამოფენო პავილიონზე, რომლის დიზაინი შექმნეს და წარადგინეს არქიტექტორებმა - ანჯელ ფერნანდეზ ალბამ და სოლედად დელ პინო იგლესიასმა.
ეს ლექციები და გამოფენები წარადგინა ვლადიმირ ბელოგოლოვსკიმ სამხრეთ ავსტრალიის უნივერსიტეტში 2010 წლის 5 მაისს. მოკლედ ზემოთ ნახსენებ არიტექტორებზე:
**ანჯელ ფერნანდეზ ალბა** - დაამთავრა მადრიდის არქიტექტურის სკოლა 1970 წელს, შემდგომ ცხოვრობდა ლონდონსა და ნიუ-იორკში, სანამ 1976 წელს არ დაარსა არქიტექტურული ოფისი მადრიდში. მრავალ განხორციელებულ პროექტებში შედის მისი აშენებული ესპანეთის საელჩო სტოკჰომსა და ჰელსინკში, მრავალი პროექტი საოჯახო საცხოვრებელი სახლებისა და საგანამანათლებლო და სამედიცინო კომპლექსების ჩათვლით, მთელს ესპანეთში. 2009 წელს მისმა ოფისმა ჩაატარა რეტროსპექტივა მადრიდის სამეფო ბოტანიკურ ბაღში და ახლა ეს გამოფენა მოგზაურობს მთელს ევროპაში. ანჯელი არის პროფესორი მადრიდის არქიტექტურულ სკოლაში და ვიზიტორ-პროფესორი არიზონას უნივერსიტეტში.
**სოლედად დელ პინო იგლესიასი** - დაამთავრა მადრიდის არქიტექტურის სკოლა და 1988 წელს შეუერთდა AFA studio-ს. 1993 წლიდან პარტნიორობს ანგელ ფერნანდეზ ალბასთან. ის მუშაობდა რამდენიმე გამოფენის დიზაინსა და ილუსტრირებაზე. არქიტექტურული საქმიანობის პარალელურად აქტიურად არის ჩართული ხელოვნებაში, მხატვრობაში, გრაფიკულ დიზაინში, ავეჯისა და ტანსაცმლის დიზაინში.
გამოფენა სახელწოდებით - Architecture without Paper (არქიტექტუტა ფურცლის გარეშე)

ფოკუსირდება 15 პროექტზე, რომლის ავტორებიც ახალგაზრდა ესპანელი არქიტექტორები გახლავთ. ეს პროექტების კრებული ნაწილია იმ დიდი გამოფენისა, რომელიც ვენეციის მეთერთმეტე ბიენალეზე ჩატარდა, 2008 წელს, ანჯელისა და სოლედადის კურატორობით. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრების ავტორები 30-წლამდე ახალგაზრდები არიან, მათი ხედვა არქიტეტურისადმი განსაკუთრებულია, ისინი კვლავ ძიებისა და ახალი აღმოჩენების პროცესში არიან.

ლექციაზე ყურადრება გამახვილებულია ე. წ. „არქიტექტურულ ცოდვაზე". მოყვანილია ბრიტანელი კრიტიკოსის აარონ ბეტსკის ციტატა - „შენობები ენაცვლება მიწას. ეს არის არქიტექტურის ყველაზე დიდი ცოდვა. შენობა ქმნის რაღაც ახალს, მაგრამ ამას არ აკეთებს სიცარიელეში. რაც ადრე იყო მიწა, სავსე მზის სხივებითა და ჰაერით, გამორჩეულ კავშირში ჰორიზონტთან, ახლა შენობად იქცევა", მოყვანილია მაგალითი სანტიეგო დე კომპოსტელას City of Culture of Galicia, რომელიც კავშირშია ბუნებასთან, თუმცა ეს მას საკმაოდ ძვირი დაუჯდა, იმდენად ძვირი რომ ეს შეიძლება „არქიტექტურულ ცოდვადაც" ჩაითვალოს.

საუბარი ეხება ესპანეთის საერთაშორისო გამოწვევებსა და მიზნებს,თანამედროვე არქიტექტურას, ახალგაზრდა არიტექტორების ხელშეწყობას, შედევრებს, რომლებმაც შეცვალეს მთლიანად ქალაქის ყოფა. მოყვანილია ბილბაოს - გუგენჰემის მუზეუმის მაგალითი. არქ. ფრანკ გერი.

გამოფენაზე წარდგებილი თხუთმეტივე პროექტი განსაკუთრებულია: არქიტექტორები ცდილობენ დაიჭირონ ბუნებასთან კავშირი, იპოვონ უნიკალური გეომეტრიული ფორმები, ისტორიული ნანგრევებისგან შექმნან ტრადიციებისგან თავისუფალი არქიტექტურა. ლექციის მიზანია დაგვანახოს არქიტექტურის საოცარი თვისება, რომ ლამაზი დიზაინის მისაღწევად არ არის აუცილებელი ერთიანი სრულყოფილი სურათის წარმოდგენა, არამედ პროცესი, რომელსიც მისი შექმნის დროს ვითარდება. არქიტექტურა ოპტიმისტური პროფესიაა, რადგან ის მომავლის დაპროექტებაზე, შემნაზეა ორიენტირებული. მოყვანილია ოსკარ უაილდის ციტატა: „ჭეშმარიტი იდუმალება ამ სამყაროსი არის ის რაც ხილვადია და არა ის რაც უხილავია".

**Harry Seidler - Architecture, Art and Collaborative Design**

ჰარი შილდერი - არქიტექტურა, ხელოვნება და კოლაბორაციული დიზაინი. ეს ლექცია აღწერს ავსტრიელი წარმოშობის ავსტრალიელ არქიტექტორ ჰარი შილდერის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მის როლს მოდერნიზმისა და ბაუჰაუსის პრინციპების ავსტრალიაში შეტანაში, დამახასიათებელ გამორჩეულ არქიტექტურულ სტილს, აღწერს დიდხნიან თანამშრომლობას მეოცე საუკუნის წამყვან კრეატიულ ფიგურებთან, როგორებიც არიან მარსელ ბრაუერი და ოსკარ ნიმეიერი, არტისტები იოსებ ალბერსი, ალექსანდრე კალდერი, ნორმან კარლბერგი, ჩარლს პერი, ფრანკ სტელა და ლინ უტზონი, ინჟინერი პიერ ლუიჯი ნერვი, ფოტოგრაფი მაქს დუპაინი, დეველოპერი ჯერარდუს დუსელდორფი.დაახლოებით 60 წლის განმავლობაში შილდერმა შექმნა ასსამოცამდე დიზაინი სახლებისა და მრავალფუნქციუერი ცათამბჯენებისთვის, როგორც ავსტრალიაში, ისე ავსტრიაში,საფრანგეთში, ისრაელში, იტალიაში, მექსიკასა და ჰონგ-კონგში. ლექცია ასევე ეხება შილდერის ცხოვრებას, ჯადოსნურ მოგზაურობას მისი სამშობლოდან ავსტრიიდან ინგლისში, კანადაში, ა.შ.შ-ში, ბრაზილიასა და საბოლოოდ აუსტრალიაში, სადაც დასახლდა 1948 წელს, შესაძლებლობით გამხდარიყო ქვეყნის ყველაზე შემდგარი არქიტექტორი. ლექციაზე საუბარი ეხება შემდეგ პროექტებს: როზა შილდერის სახლი, 1984; ჰონგ-კონგში, შელის შტაბიბინა მელბოურნში, 1989; და საცხოვრებელი კომპლექსი ვონპარკ ნიუ დოჰაუ ვენაში, 1998.

**ინტერვიუები**

ვლადიმირ ბელოგოლოვსკის ასამდე ინტერვიუ აქვს აღებული შემდეგ არქიტექტორებთან, არტისტებთან, კურატორებთან და დეველოპერებთან:

ალეხანდრო არავენა, გლენ მარკუტი, პაულო მენდეს და როჩა, პიტერ ეიზენმანი, კენეთ ფრამპტონი, კენ იანგი, ჯეიმს კორნერი, ანჯელ ფერნანდეზ ალბა, ემილიო ამბაზი, ვოლფ პრიქსი, კენგო კუმა, ბრედ კლოეფილი, აარონ ბეტსკი, ნორმან ფოსტერი,ნიკოლას გრიმშოუ, დევიდ აჯაი, უილიამ ალსოპი, ზაჰა ჰადიდი, თომას ლიზერი, გაეტანო პესკი, ბარი ბერგდოლი, სულან კოლათანი, უილიამ მაქდონალდი, ჯინ-ლუის კოენი,უიტოლდ რიბჟინსკი, ჩარლზ ჯენკსი, მაიკლ სორკინი, რიჩარდ პერი, ელიზაბეტ დილერი, არტ გენსლერი, ფილის ლამბერტი, რაფაელ ვინოლი, პატრიკ შუმახერი, პაბლო კასტრო, რობერტ ვენტური, დენის სკოტ ბრაუნი, ტერენს რილეი, სტეფან რუსტოვი, ვინკა დუბლედამი,

რიჩარდ სერა, თომას პიფერი, ფელიქს ნოვიკოვ, სტივენ ჰოლი,ბერნერდ შჩუმი, კესარ პელი, კრისტო და ჯინი კლაუდი, ალეხანდრო ზაერა-პოლო, მაიკლ გრავესი, გაე აულენტი, მაქს პროტეჩი, რიჩარდ მეირი, შიგერუ ბან, კოო ბრაუნ, დანიელ ლიბესკინი, ტოშიკო მორი, დევის როკველი, რაიმუნდ აბრაჰამი.

**I AM INTERESTED IN SEEING THE FUTURE:** ARCHITECTS' VOICES & VISIONS

ეს არის გამოფენა, რომლის დიზაინერი გახლავთ ვლადიმირ ბელოგოლოვსკი. გამოფენის კურატორი ლიუ ნინგჯუია. წარმოდგენილია პიტერ ეიზენმანის, დანიელ ლიბესკინის, იონგ ჰო ჩანგის და სხვა არქიტექტორების „ხმები და ხედვები“. გამოფენა ტარდება Fab-Union Space-ში, შანხაიში, ჩინეთი, 9 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით.

http://www.curatorialproject.com/exhibitions/voicesshanghai.html

საიტის ინფორმაცია დაამუშავა და სტატია მოამზადა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტმა
სალომე მათითაიშვილმა

**სკაიპ კონფერენცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს, მინსკის და კალინინგრადის ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის.**

**2019 წლის 30 მაისს სტუ-ს ადმინისტრაციული კურპუსის შეხვერების ოთახში გაიმართა სკაიპ კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებმა: ალექსანდრე ნავროზაშვილმა, ლანა ბეჟანიძემ, ანუკი ბურდულმა, გიორგი ღუდუშაურმა და მარიამ გოგოჩიშვილმა. სტუდენტებმა პედაგოგ მაია გამსახურდიას ხელმძღვანელობით მომზადეს მოხსენებები მწვანე არქიტექტურაზე.**

**კონფერენციის სამუშაო ენა ინგლისური.**

2019 წლის 26 მაისი.

2019 წლის 3 ივნისი  ბიბლიოთეკისთვის შევიძინეთ 12 წიგნი.

წლის საუკეთესო საკურსო პროექტი: „ლანდშაფტური არქიტექტურა“

2019 წლის 3 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის  მე-4 კურსის სტუდენტებს ანა ჩანტლაძეს, თამარ ქარელს, შოთა ქლიბაძეს, ანა გობეჯიშვილს, ნიკა კაპატაძეს, გიორგი ქემოკლიძეს და გიორგი ქადაგიძეს გადაეცათ სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები საკურსო პროექტის: „ლანდშაფტური არქიტექტურა“ კონკურსში გამარჯვებისთვის.სიგელები გადასცა არქიტექურული პროექტირების და ქალაქგეგმარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თენგიზ მახარაშვილმა.

კონფერენცია: არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები

2019 წლის 7 ივნისი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ნ. ნიკოლაძის დარბაზში გაიხსნა საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები.

კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 12 მომხსენებელმა ოთხი ქვეყნიდან: საქართველო, ამერიკა, იტალია და აზერბაიჯანიდან. მათ შორის კონტინენტშორისი კურატორული პროექტის დამფუძნებელი, თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ამერიკელი არქიტექტორი ვლადიმერ ბელოგოლოვსკი, იტალიელი არქიტექტორი, კრიტიკოსი და ჟურნალისტი ვირჯინია კუჩი და აზერბაიჯანის არქიტექტურისა და მშენებლობის უნივერსიტეტის პროფესორი ფადირა გასიმოვა. კონფერენციის ძირითადი მიზანია საქართველოში, არქიტექტურისა და ურბანისტიკის სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გამომწვევი ფაქტორების გამოვლენა მდგრადი განვითარების კონტექსტში; ქალაქთმშენებლობითი პრობლემების აღმოსაფხვრელად პროფესიულ დისკუსიებში საზოგადოების ფართო ფენების, მათ შორის, უმაღლესი სახელისუფლებო სტრუქტურების ჩართვა; ქართული

არქიტექტურისა და ქალაქთმშენებლობის პრობლემატიკის უცხოელი კოლეგებისთვის გაზიარება და ამ პრობლემების გადაჭრის პროცესში, „ურბანისტიკის ევროპული ქარტიის“ ძირითადი დებულებების შესაბამისად, ურბანისტებისა და არქიტექტორების სოციალური როლის განსაზღვრა და დამკვიდრება; ასევე, სხვადასხვა ქვეყნის ურბანისტებსა და არქიტექტორებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარება და გაცვლითი საინფორმაციო ბაზის შექმნა.

კონფერენცია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ მეცნიერების დარგში, პროფესორმა ზურაბ გასიტაშვილმა გახსნა. მისი თქმით, საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც არქიტექტურისა და ქალაქგეგმარების თანამედროვე პრობლემებს ეხება, ტრადიციული ღონისძიებაა, რომელიც მეათე წელია, ყოველწლიურად იმართება ტექნიკურ უნივერსიტეტში.

კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: აზროვნების სწავლების მეთოდოლოგიური სირთულეები, ჯგუფური პროექტების თემატური კვლევები, თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების მნიშვნელობა არქიტექტურული მეხსიერების ჭრილში.

ვლადიმერ ბელოგოლოვსკი თავის მოხსენებაში შეეხო არქიტექტურული კრიტიკის თავისებურებებსა და მნიშვნელობას დღევანდელი არქიტექტურის განვითარებაში, ფარიდა გასიმოვამ ისაუბრა ბაქოს, როგორც სამხრეთ კავკასიის უმსხვილესი სატრანსპოტრო ჰაბის, განვითარებასა და მოდერნიზაციაზე 2009-2019 წლების შუალედში, ვირჯინია კუჩის მოხსენების თემა კი ძველი ქალაქების ახალი სიცოცხლე იყო.

კონფერენცია გაგრძელდა ტექნოპარკში, სადაც მოეწყო ამერიკელი არქიტექტორის ვლადიმერ ბელოგოლოვსკის წიგნის: “Architectural Guide New York, A Crittics Guide to 100 Iconic Buildings in New York from 1999 to 2020” პრეზენტაცია და საჯარო ლექცია თემაზე: ძირითადი ეტაპები და ტენდენციები თანამედროვე არქიტექტურაში“.

დაწვრილებით კონფერენციის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ:

https://www.interpressnews.ge/ka/article/550392-teknikur-universitetshi-saertashoriso-arkitekturuli-konperencia-gaixsna/

https://pia.ge/post/265894-teqnikur-universitetsi-saertasoriso-arqiteqturuli-konferencia-gaixsna

http://medianews.ge/ge/teqnikur-universitetshi-saertashoriso-arqiteqturuli-konferentsia-gaikhsna/59936; https://digest.pia.ge/post/265899-teqnikur-universitetsi-saertasoriso-arqiteqturuli-konferencia-gaixsna

**მასტერკლასი სტუდენტებისთვის თემაზე: „არქიტექტორის თანამედროვე BIM ინსტრუმენტები“**

2019 წლის 13 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის 405 ც აუდიტორიაში (12 სთ.) ჩატარდა მასტერკლასი თემაზე: **„არქიტექტორის თანამედროვე BIM ინსტრუმენტები“ ანუ შენობის ინფორმაციული მოდელირება**. ტრენინგს გაუძღვა GRAPHISOFT-ის წარმომადგენელი მარია კალაშნიკოვა.
მან სტუდენტებს გააცნო GRAPHISOFT-ის განვითარების ეტაპები, ინფორმაციის გაცვლის მეთოდები, ტერმინი BIM-ის განმარტება, რომელიც ნიშნავს შენობის ინფორმაციულ მოდელირებას. პრაქტიკულად, კონკრეტულ მაგალითებზე მან სტუდენტებს უჩვენა BIM ტექნოლოგიების შესაძლებლობები  და უპირატესობები, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა გრაფიკული პროგრამებით **შენობის იმიტაციას**  და ყველა მისი შემადგენელი ნაწილის მოდელირებას; **3D ვიზუალიზაციას,** რომელიც ეხმარება არქიტექტორს  გადაწყვეტილების სწრაფად მიღებაში და ალტერნატივის არჩევაში; **ცვლილებების მართვას და** ყველა სახის ცვლილებების მომენტალურად ასახვას პროექტირების ყველა სტადიზე. BIM ინსტრუმრნტებით ერთდროულად შესაძლებელია შეიქმნას პროექტის დოკუმენტაცია, ვიზუალიზაცია, წარდგენა და პრეზენტაცია. ასევე მუშაობა დიდ მოცულობებზე 3D და 2D მონაცემებით, ინსტრუმენტები კოლექტიური მუშაობისთვის და ურთიერთობა მოდელის დონეზე, ინტელექტუალური ინსტრუმენტებით პროექტირების პროგნოზირება: კიდული კედელი, ფასადი, კიბე და სხვა, პარამეტრული პროექტირების ინტეგრაციის მოდული Rinoceros Grasshopper, სრულყოფილი მხარდაჭერა IFC  და ენერგოეფექტურობის ანალიზი. მომხსენებელმა ასევე გააკეთა ARCHICAD 22 ვერსიის პრეზენტაცია და სტუდენტებთან ერთად შექმნა კონკრეტული ობიექტის ვიზუალიზაციაა. კომპანია GRAPHISOFT-ის უპირატესობაა ჯგუფური მუშაობის სესაძლებლობა, რისი დემონსტრირება მოხდა კონკრეტულ ობიექტზე.
ბოლოს მარია კალაშნიკოვამ სტუდენტებს შესთავაზა კონკურსში მონაწილეობა, რომელსაც GRAPHISOFT ატარებს ყოველწლიურად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა სტუდენტს შემდეგ ნომინაციებში: ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი,

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი და საზოგადოებრივი ობიექტი. კონკურსზე წარდგენილი ობიექტი შექმნილი უნდა იყოს BIM ტექნოლოგიებით. დამატებითი ინფორმაცია კომპანია GRAPHISOFT-ზე შესაძლებელია ვებგვერძე: MYARCHICAD.com

**სტუდენტური პროექტების ღია საერთაშრისო კონკურსი**
**BIM PROJEKT 2019**

მონაწილეობისთვის საკმარისია **BIM PROJECT 2019** კონკურსის ვებგვერძე დარეგისტრირდეთ - https://bestbim.pro/, ატვირთოთ თქვენი ნებისმიერი საკურსო თუ სადიპლომო პროექტი, რომელიც შესრულებულია არქიტექტურაში თანამედროვე ინფორმაციული მოდელირების ტექნოლოგიებით და დაელოდეთ შედეგებს.

ნომინაციები:

1. ინდივიდუალური საცოვრებელი სახლი;
2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი;
3. საზოგადოებრივი შენობა.

დარეგისტრირდით აქ: https://bestbim.pro/

**სტუ-ს სტუდენტური 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია**

*2019 წლის 17 ივნისს სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ორგანიზებით სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სექციამ სტუ-ს 87-ე ღია, საერთაშორისო კონფერენციაზე იმუშავა.*

*სამუშაო სექცია გახსნა სტუ-ს სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ირაკლი გაბისონიამ. კონფერენციის მონაწილეებმა ორივე სექციისთვის შემუშავებული კომისიის წინაშე წარმოადგინეს მოხსენებები და შესაბამისი შეფასებებიც დაიმსახურეს.*

*შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 28 მაისს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში, გიორგი ნიკოლაძის სახ. დარბაზში, სტუ-ის სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გაიხსნა.*

*სტუდენტურ კონფერენციაში მონაწილეობენ სტუ-ის და სხვა უმაღლესი სასწავლებლების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები. კონფერენციის მუშაობა 64 დარგობრივ სექციაში, შესაბამის ფაკულტეტებსა და დეპარტამენტებში წარიმართა.*

**2019 წლის 17-18 ივნისი**
**არქიტექტურისა და ურბანისტიკის სექცია**

**ინტერიერისა და დიზაინის სექცია**

87-ე სტუდენტურ კონფერენციაზე „ინტერიერისა და დიზაინის“ სექციაში მაგისტრებს შორის პირველი ადგილი დაიკავა II კურსის სტუდენტმა მარიამ ცეცხლაძემ - „ენერგოეფექტური მშენებლობის აქტუალობა“ (ხელმ.: პროფ. თ. ჩიგოგიძე), თემაში განხილულია ენერგოეფექტური მშენებლობის პროცესები და კატეგორიები. ხოლო მეორე ადგილზე გავიდა, ასევე მეორე კურსის

სტუდენტი ნინო ბოჭორმელი, თემით - „ბიბლიოთეკები დღეს“ (ხელმ.: პროფ. თ. ჩიგოგიძე), სადაც გაშლილია თანამედროვე ბიბლიოთეკების ინტერიერების მოწყობის საკითხები.
ბაკალავრებს შორის ადგილები განაწილდა შემდეგნაირად:
1 ადგილი - II კურსის სტუდენტი ლია ხუციშვილი „თანამედროვე ინტერიერის ევოლუცია“ (ხელმ.: ასოც. პროფ. ქ. სალუქვაძე);
2 ადგილი - III კურსის სტუდენტმა გიორგი ჩაბალუხა „ინტერიერის პროექტირების აქტუალური ტენდენციები“ (ხელმ.: ასოც. პროფ. ქ. სალუქვაძე);
3 ადგილი - IV კურსის სტუდენტმა ვახტანგ გლუნჩაძე „ინსტალაციები - ისტორია და თანამედროვეობა“ (ხელმ.: პროფ. ნ. ხაბეიშვილი).

**არქიტექტურის საფუძვლების სექცია:**

საკონფერენციო თემები

ხელმძღვანელი მაია დავითაია

ბაკალავრიატის სტუდენტები:

1 კურსი -მარიკა ჯალაღონია, "ვენეციის ბიენალე-1980 წ. "წარსულის ყოფნა"

1 კურსი- თეო ყულჯანიშვილი, "ვენეციის ბიენალე-2008 წ. "არქიტექტურა არქიტექტურის მიღმა"

1 კურსი - ალექსანდრე ნავროზაშვილი, "ინოვაციური მიდგომები მსოფლიო ქალაქების დაპროექტებაში"

4 კურსი - აკაკი სხვიტარიძე -"პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი ქართულ პოეზიასა და პროზაში" (2 ადგილი)

მაგისტრატურის სტუდენტები:

2 კურსი - ნათია ნამგალაძე, "ედმუნდ ფრიკის როლი ფოთის არქ-ული სახის შექმნაში"

(1 ადგილი)

დოქტორანტი:

3 კურსი - ირინა ზარიძე, "სამშენებლო კერამიკის ძირითადი ტენდენციები საქართველოში" (1 ადგილი)

ხელმძღვანელი ლალი ხვედელიძე

ბაკალავრიატი:

1 კურსი - მარიამ მესტიაშვილი „დოგონების კულტურის გამოძახილი ლე კორბუზიეს შემოქმედებაში“ (3 ადგილი)

1 კურსი მირანდა გულბანი - „ტრადიციული სვანური საცხოვრისის არქიტექტურა და მისი ტრანსფორმაციის პრობლემები“ (1 ადგილი)

1 კურსი - ნიკოლოზ ბიწაძე, ნინი პატარკაციშვილი - „ტრადიციული ქართული საცხოვრისის-ოდას-

შედარება იაპონურ სახლ მინკასთან“

ხელმძღვანელი მაია ძიძიგური

ბაკალავრიატი:

1 კურსი, სალომე ჯანჯალაშვილი -“არქიტექტურა ლეონარდო და ვინჩის შემოქმედებაში”

2019 წლის 22 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაცია წარმოგიდგენთ ვორქშოპს ტრაფარეტული მხატვრობის შესახებ. ვორქშოფი გაიმართება 501 ც აუდიტორიაში 12 საათზე.

ტრაფარეტული მხატვრობა (სტენსილი) ურბანული ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და საინტერესო ფორმაა. დასავლურ ურბანულ ხელოვნებაში სტენსილი დროში გამოცდილ და აპრობირებულ სტილს წარმოადგენს. ქართულ საზოგადოებაში ქუჩის ხელოვნება ფეხს თანდათანობით იკიდებს და ხატვის ტრაფარეტული მეთოდით აქტუალური ხდება.

ვორქშოპის ფარგლებში დაინტერესებული პირები შეისწავლიან ტრაფარეტის (სტენსილის) დამზადების ეტაპებს. მომხსენებლები განიხილავენ ტრაფარეტის (სტენსილის) შექმნის შემდეგ ეტაპებს:

- ფოტოშოპის გამოყენებით საჭირო გამოსახულების შექმნის რამდენიმე მეთოდს, როგორც ერთ, ისე რამდენიმე შრიანი სტენსილის შემთხვევაში.
- მიღებული გამოსახულების საჭრელ მასალაზე გადატანის რამდენიმე მეთოდი.
- ტრაფარეტის (სტენსილის) ამოჭრა.
- დამზადებული ტრაფარეტის საშუალებით ნახატის სიბრტყეზე გადატანა.

ვორქშოპს გაუძღვებიან საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის წარმომადგენლები:
ვასილ შურაძე
ლუკა ჯაფარიძე
ლევან მიქელაძე
ვორქშოპზე დასწრების მსურველებმა თან უნდა იქონიონ საკუთარი საკანცელარიო დანა, მარკერი (სასურველია წვრილი თავით) ფანქარი ან ცანგი.

**ვორქშოფი: „ტრაფარეტული მხატვრობა“**

2019 წლის 22 ივნისს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი და საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაციის ორგანიზებით 501 ც აუდიტორიაში (12 საათზე) გაიმართა ლექცია და ვორქშოპი თემაზე: ტრაფარეტული მხატვრობა. ვორქშოფში მონაწილეობა მიიღეს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სხვადასხვა კურსის სტუდენტებმა. მათ ტუტორებთან ერთად დაამზადეს ტრაფარეტები (სტენსილი) და შეძლეს თავიანთი ჩანაფიქრის ნახატის სიბრტყეზე გადატანა.

**პროექტი: „ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლა“ წინასწარი განხილვა**

2019 წლის 29 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 506 ც აუდიტორიაში (12 სთ.) შედგა საკონკურსო პროექტის „ნიქოზის ხელოვნების სკოლა“ წინასწარი განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ ცხინვალის და ნიქოზის ეპარქიის მეუფე ისაია, არქიტექტორები ნინო ბაგრატიონი და გიორგი ბარნაბიშვილი, სტუ-ს პროფესორები ნ. იმნაძე. გ. გეგელია, ბ. ტატიშვილი. პროექტები წარმოადგინეს მე-4 კურსის ბაკალავრიატის 65115 ჯგ.-ის სტუდენტებმა: აკაკი სხვიტარიძემ, ანა ნუცუბიძემ, თებრონე დიაკონიძემ, ავთო სხილაძემ, მერაბ გიგინეიშვილმა და ვასო ფხოველიშვილმა. პროექტის ცაბარების სავარაუდო თარიღია 2019 წლის 15 ივლისი.






ლექცია და ვორქშოპი „ექსტრემალური არქიტექტურა“

**2019 წლის 24-28 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე სტუმრად იმყოფებოდნენ ერასმუს + აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში პორტუგალიელი არქიტექტორები მარგარიდა ლოურო და ფრანჩესკო ოლივეირა. 27 ივნისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის 405 ც და 403 ც აუდიტორიაში მათ ჩაატარეს საჯარო ლექცია და ვორქშოპი თემაზე: „ექსტრემალური არქიტექტურა ანუ სახლები პატარა პლანეტისთვის“.**

„სახლები პატარა პლანეტისთვის“ (Houses for a small planet) არის საკვლევი პროექტი, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს 2009 წლიდან ლისაბონის უნივერსიტეტის, არქიტექტურის სკოლის საკვლევ ცენტრში (CIAUD-FAULisboa). აქვს განვითარების რამდენიმე ფაზა: 2009-2011, 2012- 2014, 2015-2017 და 2018-2020. პროექტის ხელმძღვანელია პროფესორი მარგარიდა ლოურო, რომელსაც ასევე ჩართული ჰყავს CIAUD-ის სხვა მკვლევარებიც, ასევე პროფესორები FAULisboa-დან და სტუდენტები. პროექტის მიზანია გადაჭრას ინტენსიური ურბანიზაციის პრობლემა, რომელიც ბოლო ათწლეულში მოსახლეობის ზრდასთან ერთად დღითიდღე უფრო აქტუალური ხდება, ამასთანავე მოახდინოს რურალური ანუ სასოფლო სივრცეების მოდერნიზაცია და გამოძებნოს მიმდინარე პრობლემების ეფექტური და სწრაფი გადაჭრის გზები. პრობლემათა ამგვარმა განვითარებამ განაპირობა კვლევის დაწყება მაღალ სიმჭიდროვესა და ურბანული სიცრის არაჯანსაღი ზრდის საკითხის გარშემო და კვლევის პირველ ფაზაში ამ პრობლემის კონტექსტში ლუანდას დასახლების მოყვანა (Luanda musseques). კრიტიკულმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ამ რაიონში საჭირო გახდა სასწრაფო ჩარევა, რადგან განსხვავებული მასშტაბის პრობლემები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. პროექტზე მუშაობისას კვლევის სხვადასხვა ფაზა განვითარდა, რომლებიც პროექტის მსვლელობასთან ერთად პერიოდულად ვრცელდება. შეხვდებით მათ ფინალურ სამაგისტრო პროექტებში, სამაგისტრო თეზისებში, საკომუნიკაციო პრეზენტაციებზე, საორგანიზაციო კონფერენციებსა და გამოფენებზე. ასევე ვრცელდება, როგორც პუბლიკაციები (წიგნები, სტატიები, მოხსენებები და ა.შ)

მარგარიდა ლოურო (მთავარი კოორდინატორი) დაიბადა ლისაბონში 1970 წელს, დაქორწინებულია და არის სამი შვილის დედა. დამთავრებული აქვს არქიტექტურის ფაკულტეტი ლისაბონის ტენიკურ უნივერსიტეტში (FA-UTL),1993 წელს. 1998 წლის ივლისში მოიპოვა მაგისტრის ხარისხი - თანამედროვე არიტექტურული კულტურა და თანამედროვე სოციუმის კონსტრუქცია. 2005 წლის აპრილში მოიპოვა დოქტორის ხარისხი კატალონიის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში (ETSAB-UPC). 1997 წლიდან არის არქიტექტურის ფაკულტეტის ლექტორი. 2006 წლიდან წევრია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის საკვლევი ცენტრის (CIAUD) და მუშაობს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარებაზე, ხელმძღვანელობს მრავალ პროექტს. მისი საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებულია წიგნებსა და ჟურნალებში, საუბრებია სამეცნიერო არბიტრაჟებსა და გამოფენებზე. დღეისთვის ის ლისაბონის არქიტექტურის უნივერსიტეტის FAJunior-ის ოფისის ხელმღვანელია.

ფრანცისკო ოლივიერა დაიბადა ლისაბონში, 1970 წელს. დაამთავრა ლისაბონის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტი 1993 წელს. 2001 წელს მოიპოვა მაგისტრის წოდება. 2008 წლის ოქტომბერში მოიპოვა PhD არიტექტურაში (არქიტექტურული დოქტორის ხარისხი) ტექნოლოგიის და კონსტრუქციული მენეჯმენტის სპეციალობით FA-ULT-ში. დღესდღეობით ის ასწავლის ლისაბონის უნივესიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე და მკვლევარია არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის საკვლევ ცენტრში. პროექტები Housing for a small planet – housing models in territories of macro informal settlement, 2009 - პროექტი ნაწილია CIAUD-ის (ლისაბონის უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის საკვლევი ცენტრი) საკვლევი პროექტისა - სახლები პატარა პლანეტისთვის. კვლევის დასაწყისში ყურადღება იქნა გამახვილებული არაფორმარულ, უსახურ განაშენიანებაზე (განაშენიანება ქალაქგეგმარებითი წესების დარღვევით), რომლის მსგავსიც ანგოლის რესპუბლიკის ქალაქ ლუანდაში ძალიან ხშირია. ამიტომაც პროექტზე მუშაობა სწორედ ამ დასახლების გარშემო დაიწო. NYC 6th Boro CLEAN TECH EXPO Water as liquid state of earth New York, 2011 - პროექტი ხორციელდება საერთაშორისო კონკურსის ფარგლებში - One Prize 2011: Water as the Sixth Borough of New York City. დისერტაციები /ფინალური სამაგისტრო პროექტები Reinhabiting a Port –

China, Hong Kong, Port of Aberdeen Designing the Informal – Bangladesh, Dhaka, Karail Slum Regenerating a Destroyed City – Haiti, Port-au-Prince A Planet of Favelas – Brazil, Rio de Janeiro, Rocjinha On the Edge of the Waterfront – USA, New York, Battery Park City Urban Tradition and Identity – Mexico, Oaxaca The Urbanization of Poverty – Thailand, Bangkok, Klong Toey Inhabiting the Uninhabitable – Philippines, Manila, Navotas Cemetery Emerging Places – India, Mumbai, Dharavi Between the Formal and the Informal – Angola, Luanda, Chaba From developed to derelict - Portugal, Lisbon, Rossio Learning from Informality – Indonesia, Jacarta Migration crisis in Europe – France, Calais (Re)Inhabit Luanda – Angola, Luanda, Prenda neighborhood Going UP: Connecting formal and informal – Japan, Tokyo Emergency Architecture Syria, Aleppo The Soviet House and its adaptation - Moldova, Chisinau Macau, Fai Chi Kei District (ongoing) Indonesia, Bali, Kawasan Kumuh (მიმდინარეობს მუშაობა) United Kingdom, London (მიმდინარეობს მუშაობა) Brazil, Dourados, (მიმდინარეობს მუშაობა) Mozambique, (მიმდინარეობს მუშაობა)
მასალ მოამზადა სალომე მათითაიშვილმა.
ვორქშოფი „ექსტრემალური არქიტექტურა“ დაიწყო 15.30 სთ. და გაგრძელდა 18.30 სთ.-მდე.
**პროექტი გულისხმობს მობილურ და სწრაფად დასამონტაჟებელი სხვადასხვა ტიპის ობიექტების ან საცხოვრებელი სახლების დაპროექტებას.**

**ვორქშოფი გაგრძელდა 5 საათი, რომლის დროსაც სტუდენტებმა ტუტორებთან ერთად შეარჩიეს კონკრეტული ლოკაცია თბილისში და ადგილის კონტექსტის გათვალისწინებით მოიფიქრეს კონცეპტუალური იდეა მობილური, მარტივად ასაწყობი სტრუქტურისთვის. აღნიშნულ პროექტზე მუშაობდნენ სტუდენტთა 3 ჯგუფი. თვითოეულმა აირჩია სხვადასხვა ლოკაცია. პროექტის დასრულებისთვის სტუდენტებს მიეცათ ერთი თვის ვადა. ამ პერიოდის განმავლობაში პორტუგალიელი არქიტექტორები მიაწოდებენ სხვადასხვა მასალებს.**



პროექტის შესახებ და ავტორებზე მეტი ინფორმაცია შეგიძლიათ ნახოთ ვებგვერდე:
http://casasparaumplanetapequeno.fa.ulisboa.pt/ENG/dissemination/dissertacoes-projetos-finais-de-mestrado.html

**პროფესორ ჯუმბერ მალაღურაძის პერსონალური ნამუშევრების გამოფენა**
**2019 წლის 30 ივნისს სტუ-ს გალერეა უნივერსში გაიხსნა არქიტექტურის, ურბანისტიკის და**

დიზაინის ფაკულტეტის პროფესორის ჯუმბერ მალაღურაძის ნამუსევრების პერსონალური გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ჯუმბერ მალაღურაძის არქიტექტურული პროექტები, ფერწერული და გრაფუკული ნამუშევრები, სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფიები.

სტუდენტური ნამუშევრების გამოფენა „ქანდაკება“

2019 წლის 1 ივლისს ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო სტუდენტების ნამუშევრების გამოფენა ქანდაკებაში. წარმოდგენილია პედაგოგ გია ამირანაშვლის მე-2 კურსის სტუდენტთა ნამუშევრები.

ფაკულტეტის პერსონალი

საბაკალავრო ნაშრომების დაცვა მოცულობით არქიტექტურაში

2019 წლის 12, 16, 23 ივლისს გაიმართა დამასრულებელი საბაკალავრო ნაშრომების დაცვები მოვულობით არქიტექტურაში. სტუდენტების მიერ წარმოდგენილი იყო სხვადასხვა ხასიატის და სირთულის საზოგადოებრივი, სამრეწველო და საცხოვრებლები პროექტები. ხელმზრვანელობას უწევდნენ ფაკულტეტის პროფესორები და მოწვეული პრაქტიკოსი არქიტექტორები.

**„ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლასთან არსებული თეატრის“ საკონკურსო პროექტის განხილვა**

2019 წლის 15 ივლისს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ფოიეში მოეწყო საკონკურსო პროექტის „ზემო ნიქოზის ხელოვნების სკოლა“ გამოფენა, განხილვა და კონკურსში გამარჯვებული სტუდენტის გამოვლენა. ჟიურის შემდგენლობა: ცხინვალისა და ნიქოზის ეპარქიის მიტროპოლიტი ისაია, არქიტექტორი ნინო ბაგრატიონი, არქიტექტორი ირაკლი ბარნაბიშვილი, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ნუგზარ სამხარძე, კინო-რეჟისორი გელა კანდელაკი. ჟიურიმ იმსჯელა და გამოავლინა გამარჯვებული სტუდენტები. საკონკურსო პროექტი შესრულდა ორ ლოკაციაზე: ხელოვნების სკოლის მიმდებარედ, სადაც  დაპროექტდა თეატრი მცირე დარბაზით და ზემო ნიქოზის ეპარქიის საკათედრო ტაძრის „ღვთაება“ მიმდებარე ტერიტორიაზე - თეატრი დიდი დარბაზით;

ადგილები გადანაწილდა შემდეგნაირად:
თეატრი მცირე დარბაზით

I ელენე გობეჯიშვილი
II აკაკი სხვიტარიძე
III გიორგი კრავჩენკო

თეატრი დიდი დარბაზით

I ანა ნუცუბიძე
II მერაბ გიგინეიშვილი
III ავთო სხილაძე

სამაგისტრო ნმუშევრების დაცვები

2019 წლის 18, 19, 20, 23 ივლისს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტზე ჩატარდა 2018-2019 სასწავლო წლის სამაგისტრო დამასრულებელი ნაშრომების დაცვები.





**პროექტი „ახალი ბანა“**

2019 წლის 23 ივლისს დასრულდა პროექტი „ახალი ბანა“. პროექტზე მუშაობა დაიწყო 2018 წლის სექტემბერს. ახალი „ბანას“ მშენებლობა იგეგმება ხაშურის მიმდებარე ტერიტორიაზე სურამის და ხაშურის ეპარქიის მიტროპოლიტი სვიმეონის თაოსნობით. ტავად იდეა ეკუთვნის საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია 2-ს და იგი უნდა გახდეს საქართველოს გაერთიანების სიმბოლო. თავად ადგილი შეირჩა სპეციალურად, რადგან იგი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს საზღვარია. ახალი ბანა არის ტაოკლარჯეთის ტერიტორიაზე მდებარე ბანას ასლი, ხოლო ახალი პროექტით გათვალისწინებულია, უზარმაზარი კომპლექსი, როგორც ცენტრი სასულიერო და საერო მოღვაწეობისთვის. კომპლექსში გათვალისწინებულია სახელოვნებო, სამეცნიერო, სასაწავლო, ხალხური რეწვის და კულტურის ობიექტები. პროექტის ავტორები ვახტანგ ნოსელიძე და შალვა ხუციშვილი. ხელმძღვანელები ბესარიონ ტატიშვილი, გიული გეგელია და ნინო იმნაძე.

## პრაქტიკული კურსი „მშენებლობის უსაფრთხოება“

2019 წლის 25 ივლისს დასრულდა პრაქტიკული კურსი „მშენებლობის უსაფრტხოება“, რომელიც სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მოცულობითი არქიტექტურის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტებმა გაიარეს არქიტექტორ გურამ ბარაშვილთან ერტად. სტუდენტები ორი თვის განმავლობაში დადიოდნენ წინასწარი შეთახმებით მსენებარე ობიექტებზე და ადგილზე სწავლობდნენ მსენებლობის უსაფრთხოების წესებს და თავისებურებებს. კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტებს მიეცათ საშუალება დაეთვალიერებინათ „აქსის ტაუერი“ და „კინგ დავითის“ ობიექტები. ბოლოს ატუდენტებს გადაეცათ პრაქტიკული კურსი „მშენებლობის უსაფრთხოება“ დამადასტურებელი სერთიფიკატები. სტუდენტები, რომლებმაც გაიარეს კურსი:

1.აკაკი სხვიტარიძე
2.ვასილ ფხოველიშვილი
3.შირინ ნაზარიანი
4.დავით ცეცხლაძე
5.გოჩა ნადირაშვილი
6.ნინო ღაღანიძე
7.ანა წიკლაური
8.ანა ნუცუბიძე
9.ანა ბაიდაშვილი
10.გიორგი ბასილაძე
11.ანა გილაური
12.თამთა ანდღულაზე
13.მარი ოსეფაიშვილი
14.თებრონე დიაკონიძე
15.ავთანდილ სხილაძე




## სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“

გამოვიდა სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალ: „არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის თანამედროვე პრობლემები“-ს მე-10 ნომერი.

## კონკურსი „ბელვედერი“

2019 წლის 15 მაისს საქართველოს რეგიონალური განვიტარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვიტარების ფონდმა გამოაცხადა სტუდენტური კონკურსი „გადმოსახედების“ ესკიზურ პროექტზე.

კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის და სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტებმა.

1 აგვისტო 2019 ,,გადმოსახედების" ესკიზური პროექტების მომზადებაზე

გამარჯვებული სტუდენტები გამოვლინდნენ: **სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტები** თეიმურაზ გაბუნია და იოსებ მათიაშვილი.



საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალურიგანვ ითარების ფონდი ქვეყნის მასშტაბით გადმოსახედი მოედნების  მშენებლობას იწყებს. პროექტის მიხედვით, გადმოსახედები მოეწყობა ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სათანადოდ შერჩეულ ადგილებშ ი -
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ან/და გზების მიმდებარე, ტურისტულად მიმზიდველ ისე თადგილებში, საიდანაც  იშლება შორეული ხედები.საქართველოში ტურიზმი ერთ-
ერთი ყველაზე მზარდი სექტორია. სულ უფრო აქტიური ხდება შიდატურიზმიც. ტურისტებსა და მოგ ზაურებს შთაბეჭდილებებს არამხოლოდ ტურისტული ობიექტები, არამედ გზების პირას განთავსებუ ლი ფუნქციური ნაგებობებიც და უბრალოდ განსაკუთრებული
ლანდშაფტის მქონე ადგილებში მოწყობილი გადმოსახედებიც უქმნიან.
მუნიციპალური განვითარების ფონდი პროექტის განხორციელებას სტუდენტების ჩართულობით გეგმავს. აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიიდან და  საქა რთველოს ტექნიკურ უნივერსიტეტიდან გამოვლინდნენ გამარჯვებული სტუდენტები, რომლებმაც შეადგინეს გადმოსახედების ესკიზური პროექტები.
შერჩეული ესკიზური პროექტების ავტორი სტუდენტები ჩაერთვებიან გადმოსახედების მშენებლობის პროცესში და ამ სახით სტაჟირებას გაივლიან მუნიციპალური განვითარების  ფონდში. ა მით პროექტში ჩართულ სტუდენტებს ექნებათ საშუალება განვითარდნენ პროფესიულად
და შეიძინონ სათანადო პრაქტიკული გამოცდილება.